ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

მამუკა არეშიძე: „ლაფანყურის ამბავი სააკაშვილის იდეა ნამდვილად არ იყო“

გვ.4

29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ორშაბათი, 3 ივლისი, 2017 №155 (7390) ფასი: 50 თეთრი

„ივანიშვილი პრემიერად უნდა დაბრუნდეს“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ თავად „ოცნება“ დაამარცხებს“

„იმის დიდი იმედი არა მაქვს, რომ ივანიშვილი ამ ეტაპზე ჩემს რჩევას გაითვალისწინებს. თუმცა ეს თხოვნა უფროა, ვიდრე რჩევა. როცა ივანიშვილს დაბრუნებას ვთხოვ, მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან ამოვდივარ და სენტიმენტებზე არ ვსაუბრობ“



„კალაძე არც პრემიერსა და არც პარლამენტის თავმჯდომარეს ანგარიშს არ გაუწევს“



გვ.2

„კალაძისთვის, ნარმანიასგან განსხვავებით, თბილისის მერობა არ არის კარიერის პიკი. თუ მერი გახდება, ეს მისთვის უკანასკნელი თანამდებობა არ იქნება“

სანდრო ბრეგაძე: „საქართველო უკანონო მიგრანტებისგან უნდა გავწმინდოთ“

ვინ დგას ქართველთა მარშის უკან და რას აპირებს ვინმე აბდულა

გვ.3

„კომპანია „საქართველოს“ დაზარალებული მეანაბრეები პოლიციამ დაარბია“

მამუკა ტუსკაძე: „პრემიერთან საკოორდინაციო საბჭოს შექმნას ვითხოვთ“

გვ.5

ISSN 1987-9385

გვ.5

რუსეთი საქართველოს ყველა მხრიდან უტევს

„რუსეთი თავისი სისუსტის კომპენსაციას შეუპოვრობით ახდენს“

„კალაძე არც პრემიერსა და არც პარლამენტის თავმჯდომარეს ანგარიშს არ გაუწევს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დედაქალაქის მერობის კანდიდატებსა და მათ შანსებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, თუ კალაძე გაიმარჯვებს, როგორი მერი იქნება, ნარმანიასგან რადიკალურად განსხვავებული თუ იგივე სტილი გაგრძელდება?

– ვინც არ უნდა გახდეს თბილისის მერი, მე მაინც შვებით ამოვისუნთქავ, რადგან ნარმანიას ყველა აჯობებს. თეორიულადაც რთულად წარმოსადგენია თბილისისთვის ნარმანიაზე უარესი მერი.

ნარმანიას, როდესაც ქალაქის მერად ინიშნებოდა და არ ირჩეოდა, უკვე საგრძნობლად ჰქონდა რეპუტაცია შერყეული იმ სამინისტროში, სადაც ძალიან დიდი თანხა აუთვისებელი დატოვა. კომუნისტების დროს ბიუჯეტის აუთვისებლობისთვის პარტიიდან რიცხავდნენ უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი იჭერდნენ. ნარმანია ამბობდა, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კონტრაქტორებმა პირობები დაარღვიეს, ეს იყო მისი გამართლება. რაც შეეხება მილიონი ხის დაპირებას, თითქოს ეს არც კი ყოფილა. რაც დარგეს, მისი ნახევარი გახმა. აღარაფერს ვამბობ „სითი-პარკის“ გაყვანის დაპირებაზე. ასევე პასუხგაუცემელი რჩება მშენებ-

ლობის ნებართვის მტკივნეული პრობლემა. რა იყო ეს ოთხი წელი თბილისისთვის? დანაშაულებისა და უნიათობის კოქტეილი.

– კალაძეზე რას იტყვით?

– კალაძისთვის, ნარმანიასგან განსხვავებით, თბილისის მერობა არ არის კარიერის პიკი. თუ კალაძე მერი გახდება, ეს არ იქნება მისთვის უკანასკნელი თანამდებობა. ამიტომ მან თავი უნდა გამოიჩინოს. თბილისის მერობა კალაძეს ტრამპლინად სჭირდება. მით უმეტეს, საერთაშორისო პრაქტიკაში, ირანიდან დაწყებული, საფრანგეთით დასრულებული, დედაქალაქის მერობა არის ქვეყნის უმაღლესი თანამდებობისკენ მიმავალი გზა. ამიტომ, კალაძე ყველაფერს გააკეთებს, რომ კარგი მერი იყოს.

– რამდენად არის მოსალოდნელი, რომ კალაძემ დამოუკიდებელი თამაში დაიწყოს?

– კალაძემ უკვე რამდენჯერმე გამოაჩინა ბრჭყალები თავისი გუნდის მიმართ. კალაძეს მოუწევს იმ პერიოდში მუშაობა, როდესაც ივანიშვილი მართლაც ჩამოშორებული იქნება პოლიტიკას. ეს არის ყველაზე დიდი ინტრიგა, ივანიშვილის შემდეგ ვინ აიღებს მართვის სადავეებს ხელში. იქნება თუ არა ეს კალაძე?!

– იქნება?

– დღეს ეს რთული სათქმელია, მაგრამ ერთი შემიძლია გითხრათ, რომ თუ კალაძე მერი გახდება, ის ნამდვილად იქნება დამოუკიდებელი. კალაძე არ არის ის ტიპი, რომ ანგარიში გაუწიოს თუნდაც პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის ინტერესებს.

– მით უფრო ხალხის არჩეული იქნება.

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მას ექნება ხალხის პირდაპირი ლეგიტიმაცია. კალაძე იქნება დამოუკიდებელი, რადგან მას აზრადაც არ მოსდის, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ სახლში წავა მშვიდად პენსიაზე და მემუარების წერას შეუდგება. ის ემზადება მომავალი პერსპექტივისთვის და ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პერსპექტივა არ გაანიავოს.

ეს არ იქნება მარტივი საქმე, რადგან თბილისის მერობა არ არის მარტივი საქმე. თბილისის ვერცერთმა მერმა ამ თანამდებობით შემდგომი კარიერა ვერ გაიკეთა. შევარდნაძის დროს მერი ასე თუ ისე შევარდნაძეზე იყო დამოკიდებული, ურთულესი პერიოდი იყო, სააკაშვილის დროს, ცხადია, სააკაშვილზე იყო დამოკიდებული უგულავა. ნარმანია ივანიშვილზე იყო დამოკიდებული.

დღეს სრულიად განსხვავებული მოცემულობაა, როდესაც თითქოს მართლა მიდის ივანიშვილი პოლიტიკიდან, კალაძეს ყველა კარტი ხელში უჭირავს. აქედან გამომდინარე ვაკეთებ ამ დასკვნას. რაც შეეხება დანარჩენებს, ნაციონალების კანდიდატს, „ევროპული საქართველოს“ კანდიდატსა და სხვებს, ეს ანტურაჟია.

– რატომ, ასეთი დაბალია მათი შანსები?

– თუ რეალურად შევხედავთ, ასეა. ეს არის ის ფონი, რომელიც დღეს გვაქვს. მთელ ამ პროცესში მთავარი ფიგურა კალაძეა, როგორი კამპანია ექნება მას, რა აქცენტებს დასვამს, ეს ყველაფერი ბევრ რამეს გამოაჩენს – თუ რა მიმართულებით აპირებს ის წასვლას, როგორი იქნება თუნდაც მისი სტილი.

კობახიძე: „დარწმუნებული ვარ, კონსტიტუციაში რა ცვლილებაც უნდა შევიტანოთ, პრეზიდენტი ვეტოს აუცილებლად დაადებს“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კონსტიტუციურ პროექტს ვეტოს დაადებს.

როგორც კობახიძემ განაცხადა, დღეს საგაზაფხულო სესია დაიხურა, სადაც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საკითხი – საკონსტიტუციო ცვლილებები იყო განხილული.

– ამ სესიის განმავლობაში, ერთ-ერთი მთავარი საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებები იყო, რომელიც ორი მოსმენით ძალიან წარმატებით მივიღეთ. ეს წარმატებული პროცესია, რომელიც ასევე წარმატებით გაგრძელდება და ლოგიკურად დასრულდება.

ამ დოკუმენტს მესამე მოსმენით შემოდგომაზე მივიღებთ. დამატებითი კონსულტაციებისთვის მზად ვართ, რისი შეცვლაც არის შესაძლებელი მესამე მოსმენის ფარგლებში. ჩვენ ასეთი კონსულტაციებისთვის მზად ვართ.

შეიძლება, დოკუმენტში ცვლილებები შევიდეს. ჩვენ კონსულტაციებისთვის ღია ვართ. საბოლოო ჯამში, კონსტიტუცია მიღებული შემოდგომაზე იქნება. ეს ის პირობაა, რომელიც დღესვე შეგვიძლია დავდოთ. დარწმუნებული ვარ, კონსტიტუცია როგორც უნდა შევცვალოთ და მასში რა ცვლილებაც უნდა შევიტანოთ, მას პრეზიდენტი ვეტოს აუცილებლად დაადებს. ეს მისი გაცხადებული ნებაა. საშემოდგომო სესიის განმავლობაში, ვეტოს უპირობოდ ველოდებით, – განაცხადა კობახიძემ.

ზაალ უდუმაშვილი: „წლების წინ ვფიქრობდი პოლიტიკაში წასვლაზე“

რა საუბარი შედგა მიხეილ სააკაშვილთან?

პოლიტიკაში წასვლის შესახებ გადაწყვეტილებაზე ისაუბრა ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატმა ზაალ უდუმაშვილმა ინგა გრიგოლიას ტოკშოუ „რეაქციაში“. უდუმაშვილი აცხადებს, რომ მას მერის კანდიდატობაზე შეთავაზება ენმ-ს პოლიტსაბჭოსგან ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება სააკაშვილთან მის ჩასვლას, უდუმაშვილის განმარტებით, ის არის პარტიის დამფუძნებელი, რომლის მოსაზრებების თავისთავად მნიშვნელოვანი იყო.

– კონსულტაციები დაიწყო თბილისში, მე სანამ კიევში ჩავიდოდი. ეს დაიწყო პოლიტსაბჭოს ლიდერებისგან. იყო შემოთავაზება, რომ ვყოფილიყავი თბილისის მერობის კანდიდატი და, სიმართლე რომ ვთქვა, ამ ბოლო ერთ თვეში არ მიმიღია გადაწყვეტილება პოლიტიკაში წასვლისა. წლების წინ მე ვფიქრობდი უკვე პოლიტიკაზე, რომ ჩემი მომავალი დამეკავშირებინა საბოლოოდ პოლიტიკისთვის.

აქ გავიარე კონსულტაციები და შემდეგ ჩავედი კიევში, სადაც პარტიის ლიდერებთან ერთად იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილი და ჩვენ უბრალოდ აზრები გავცვალეთ იქ. ბუნებრივია, ის არის პარტიის დამფუძნებელი და ლიდერი და ბუნებრივია ჩემთვის მისი მოსაზრება მნიშვნელოვანია, რას ფიქრობდა თვითონ. ამ ყველაფერზე შემდეგ ჩამოვედი თბილისში და ორი თუ სამი კვირის მერე გაგრძელდა კონსულტაციები.

ჩემი პოლიტიკაში წასვლა იყო ინტერესთა თანხვედრა, მე ვგეგმავდი პოლიტიკაში წასვლას და ნაციო-

ნალურ მოძრაობას ჰქონდა ჩემთან წინადადება და აქ მოხდა ჩვენი თანხვედრა. მე სრულიად სერიოზულად მივიღე ეს გადაწყვეტილება იმიტომ, რომ პოლიტიკაში როცა მიდიხარ, შენ გჭირდება სერიოზული პოლიტიკური პლატფორმა, ვისაც უნდა დაეყრდნო. დღესდღეობით ნაციონალური მოძრაობა არის ერთადერთი მრავალრიცხოვანი ძლიერი პარტია, რომელსაც რეალურად შეუძლია საქმის კეთება და ამის გამოცდილებაც აქვს, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

ნიუპოსტი

გია ვოლსკი: „ბიძინა ივანიშვილი ამ გუნდის წევრია“

– ბიძინა ივანიშვილი რომ ამ გუნდის წევრია, ეს ყველასთვის ცნობილია, – განუცხადა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ.

– ჩვენ რომ ერთი გუნდი ვართ, ეს სიახლე არ არის, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიაში მისი ჩართულობა რომ არ არის, ამაში გასაკვირი არაფერია, – ასე უპასუხა ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩართულობის საკითხზე დასმულ კითხვაზე გია ვოლსკიმ.

ამასთან, კითხვაზე, აისახება თუ არა ბიძინა ივანიშვილის პასიურობა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაზე, ვოლსკიმ კითხვითვე უპასუხა – „რატომ უნდა აისახოს?!“. „ქართულ ოცნებას“ ვინც უჭერდა მხარს, ის დაუჭერს მხარს. ბიძინა ივანიშვილი რომ ამ გუნდის წევრია ეს ყველასთვის ცნობილია და მისი უშუალო ჩართულობა არა თუ ამ პროცესში, არამედ სხვა პროცესებში უკვე დიდი ხანია მოგონილია და ხშირ შემთხვევაში პროპაგანდისტულ-მოარულ აზრად დადის თქვენს პოლიტიკურ გუნდში“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

რაც შეეხება მერობის კანდიდატად კახა კალაძის დასახელებას, როგორც ვოლსკიმ აღნიშნა, პოლიტსაბჭოზე მეტი მსჯელობა იყო კალაძის ხედვებზე.

– ძალიან საინტერესო ხედვა აქვს ამა თუ იმ საკითხზე და ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ. მას ბევრი წარმატებული პროექტი აქვს, თუნდაც ის, რომ ამხელა ჰესის მშენებლობა დასრულდა და ეს კახის დამსახურებაც არის, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მედიანიუსი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წევრი ჰყავს

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად გიორგი იაკობაშვილი აირჩია. მის კანდიდატურას მხარი 84-მა დეპუტატმა დაუჭირა, 2 წინააღმდეგი იყო.

რაც შეეხება დანარჩენ ორ კანდიდატს – აკაკი გიგინეიშვილს 33 მომხრე ჰყავდა, ლელა ფირალიშვილს კი – 22.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანის განმარტებით, პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის შესარჩევი ღია კონკურსი 29 მაისს გამოცხადდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი პრემიერად უნდა დაბრუნდეს“

შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ თავად „ოცნება“ დაამარცხებს“

ვის შეუძლია არსებული ვითარების გამოსწორება, რა დანაპირები უნდა შეასრულოს ივანიშვილმა, რა დაამტკიცა „ქართულმა ოცნებამ“, რა არის ხელისუფლებისთვის მთავარი საფრთხე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

გია ხუხაშვილი:

– მმართველობის სისტემაში აშკარა კოროზია იგრძნობა, ამის გარდა, რამდენიმე კრიზისის მომსწრენი გავხდით. ეს ყველაფერი გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესებისგან დისტანცირებულია.

დღევანდელი ხელისუფლება მთლიანად პარაზიტირებს ყოფილი პრემიერის რესურსებზე. აქედან გამომდინარე, მას იმის ფუფუნება არა აქვს, რომ საერთოდ ჩამოშორდეს ამ ყველაფერს. მას აქვს პასუხისმგებლობა როგორც ამ ადამიანებზე, ასევე სახელმწიფოზე.

ერთი წამით რომ წარმოვიდგინოთ, რომ მან მოიხსნა ეს პასუხისმგებლობა და ამომრჩეველში გაჩნდა ეს განცდა, ეს „ქართული ოცნებისთვის“ ფატალურად დასრულდება. ამ წლების განმავლობაში მათ საკუთარი პოლიტიკური კაპიტალი ვერ დააგროვეს. ესენი ქვეყანას რომ არ მართავენ, ისედაც კარგად ვიცით, მაგრამ არც თავად ცდილობენ ამაში ხალხის დარწმუნებას.

ამიტომ არ მგონია, ივანიშვილი მთლიანად ჩამოშორდეს ამ პროცესებს. მეტსაც გეტყვით, ეს იქნება სახელმწიფოსთვის სახიფათო.

– „ოცნებისთვის“ მისი ჩამოშორება მართლა სახიფათო იქნება, მაგრამ სახელმწიფოს რა პრობლემები შეექმნება ამით?

– მისი სრული წასვლა პოლიტიკიდან ძალიან სერიოზულ რყევებს გამოიწვევს. ასეთი სცენარი ქვეყნისთვის სასურველი არ არის.

მმართველობითი სისტემა ისეთი კოროზიით არის მოცული, რომ გასვლა კი არა, სასურველი იქნებოდა, პრემიერის რანგში დაბრუნებულიყო. მორღვეულ მმართველობით სისტემაში წესრიგის აღდგენა მხოლოდ მას შეუძლია. სხვა ამას ვერ გააკეთებს. დღევანდელი ხელისუფლება არის ჰიბრიდული, სადაც ფორმალური ხელისუფლება და სხვადასხვა ინტერესჯგუფები ცდილობენ, რაღაც გაიყონ. ისინი ამას ვერ მოახერხებენ. ივანიშვილი ორივე მხარისთვის ავტორიტეტია და სახელმწიფოებრივი კრიზისის თავიდან ასაცილებლად მისი დაბრუნებაა საჭირო. ის 2020 წლამდე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა დარჩეს ხელისუფლებაში.

– პროცესებიდან დისტანცირება რატომ მოისურვა, ვერ ხედავს კრიზისს თუ დაიღალა და მობეზრდა პოლიტიკა?

– შესაძლებელია, ის თავისი გუნდის ტესტირებას ახდენდეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყველა მშობელი ცდილობს, რაღაც ეტაპზე თავისუფლება მისცეს თავის შვილს. თავისუფლების მიცემის შემდეგ ის სხვა მშობლებივით აკვირდება, რამდენად შეუძლია მის შვილს, დამოუკიდებლად იარსებოს.

თუ საქმე მართლა იმასთან გვაქვს, რასაც მე გეუბნებით, ახლავე გეტყვით, რომ „ოცნება“ ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს. ის კლასიკური გადამწიფებული თინეიჯერია და მუდმივად ამ სტატუსისთვის განწირულია, ის მამიკოს გარეშე ზრდასრულ ორგანიზმად ვერ ჩამოყალიბდა.

– ივანიშვილი საარჩევნო კამპანიაში ჩართვას არ აპირებს. არის ვარაუდი, რომ თუ ის არჩევნებამდე არ გამოჩნდება, „ოცნებას“ ცუდად წაუვა საქმე. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?

– პოლიტიკას აქვს როგორც საჯარო, ასევე კულისური მხარეები. ივანიშვილის საჯარო გამოჩენა არ არის მთავარი. „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი ისედაც მას აძლევს ხმას და არა – კახი კალაძეს. ის ამ არჩევნებზე ზუსტად იმდენივე ხმას აიღებს, რამდენსაც „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატი. ამ ხმებს მათ ბიძინა ივანიშვილის რესურსი მოუტანს. საკუთარი მხარდამჭერები მათ არ ჰყავთ.

– თქვენ ვარაუდობთ, რომ შეიძლება ივანიშვილი „ოცნების“ ტესტირებას ახდენს. თქვენი აზრით, „ქართული ოცნება“ ყველაზე მეტად რომელ ფრონტზე მოიკოჭლებს?

– აქ ასე არ არის საქმე, რომ რომელიმე ფრონტზე მოიკოჭლებდეს. „ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ არის გადამწიფებული თინეიჯერი, რომელიც ვერც ვერაფერს აკეთებს, მაგრამ დაშავებითაც არაფერს აშავებს. ეს ყველაზე უცნაური და არასტაბილური მდგომარეობაა.

ცუდები არ არიან, მაგრამ, რადგან მამა ჰყავთ ავტორიტეტი, ცდილობენ, ცუდი ბიჭობა ითამაშონ. ეს როლი ძალიან მოსწონთ, თუმცა, როცა რეალურ ბარიერს აწყდებიან, უკან იხევენ. კარგია, ეს უნარები მაინც რომ აქვთ განვითარებული.

გაორება საყოფაცხოვრებო დონეზე შეიძლება სასაცილოც კი იყოს, მაგრამ სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდია. ამ გაორების გამო რამდენიმე კრიზისი ჩამოყალიბდა, რომლებიც გახსნილი ჭრილობებივით არის სახელმწიფოს სხეულზე. „ოცნებამ“ უნდა იცოდეს, რომ თვითდაზიანებებს როცა მიიყენებენ, ამით ქვეყანასაც აზიანებენ. ოპოზიციაში რომ იყვნენ, მათი თვითდაზიანებები ჩვენი პრობლემა არ იქნებოდა.

– ხელისუფლების მიერ გამოწვეული კრიზისები სახელმწიფოს სხეულზე გახსნილ ჭრილობასავით არისო ამბობთ, ეს არჩევნების შედეგზე არ იმოქმედებს თუ ამომრჩეველზე ისევ ივანიშვილის ფაქტორი იქონიებს გავლენას?

– პოლიტიკური პროცესები ჯერ ისევ ყოფილი პრემიერის ნიშნით მიდის. პოლიტიკური ალტერნატივა, რომელიც მოახდენდა საპროტესტო ტალღის კაპიტალიზაციას, უბრალოდ, არ ჩანს.

ერთადერთი ალტერნატივა ამ მანკიერი ორპოლუსიანი სისტემიდან გამომდინარე არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც დაზიანებული ბრენდია და დღევანდელ ხელისუფლებას მხოლოდ ამაგრებს. საბოლოო ჯამში, „ოცნებას“ პრობლემა იმდენად გარედან არა აქვს, რამდენადაც შიგნიდან.

– რას გულისხმობთ?

– როცა ვამბობ, რომ მათ ამ არჩევნებზე ოპოზიციისგან ფატალური საფრთხე არ ემუქრება, იმას არ ვგულისხმობ, რომ ისინი არ წააგებენ. მათზე სხვა ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ხელისუფლებას სუიციდისკენ აქვს მიდრეკილება და შეიძლება, ხარაკირი გაიკეთოს.

ასე რომ, უფრო მეტი პრობლემა აქვთ შიგნით და ეს მათთვის შესაძლოა ცუდი სიურპრიზით დასრულდეს.

– შიდა პრობლემებზე როცა საუბრობთ, გუნდის შიგნით არსებულ დაპირისპირებასაც გულისხმობთ?

– არა, შიდა დაპირისპირებაზე არ ვსაუბრობ, უბრალოდ, „ოცნებაში“ აღარ დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღების უნარი. ამიტომაც არის, რომ მუდმივად თვითდაზიანებებს იყენებენ. ამის საუკეთესო მაგალითია საკონსტიტუციო ცვლილებები. ვინ ეხვეწებოდათ, ბუკიკიოსთან რომ გაქანდნენ და უთხრეს, რასაც შენ გვეტყვი, იმას გავაკეთებთო. იმან მისცა რაღაც რეკომენდაციები, ამათ არ გაითვალისწინეს. ამას სჯობდა, საერთოდ არ წასულიყვნენ იმ ბუკიკიოსთან.

– მისთვის რჩევა რომ არ ეკითხათ, ამასაც ხომ მოჰყვებოდა სკანდალი?

– მოჰყვებოდა, ოღონდ ასეთი – არა. ბუკიკიოს სკანდალით „ოცნებამ“ სერიოზული თვითდაზიანება მიიყენა. ივანიშვილის დისტანცირების პერიოდში გუნდში არ გამოჩნდნენ ავტორიტეტები, ვერტიკალი არ მუშაობს და ყველა თავის ბოსტანში იღებს რაღაც გადაწყვეტილებებს.

ეს გადაწყვეტილებები ნორმალური რომ ყოფილიყო, რა უჭირდა, მაგრამ ყველა ერთმანეთზე უცნაური და უარესია. არაკვალიფიციურობა და პოლიტიკური ინფანტილიზმი ძალიან სახიფათოა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი კრიზისის პირისპირ აღმოვჩნდებით.

– თქვენი აზრით, გაითვალისწინებს ყოფილი პრემიერი თქვენს რჩევას?

– იმის დიდი იმედი არა მაქვს, რომ ივანიშვილი ამ ეტაპზე ჩემს რჩევას გაითვალისწინებს. თუმცა ეს თხოვნა უფროა, ვიდრე რჩევა. როცა ივანიშვილს დაბრუნებას ვთხოვ, მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან ამოვდივარ და სენტიმენტებზე არ ვსაუბრობ.

ის ამ ეტაპზე პოლიტიკაში არ დაბრუნდება, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ ამის აუცილებლობაში თავად დარწმუნდება. მას ალბათ ახსოვს ერთი დაპირება, რომელიც ხალხს მისცა. როცა პრემიერობიდან მიდიოდა, თქვა, თუ დავინახე, რომ ცუდად მიდის საქმე, დავბრუნდებიო.

იმედი მაქვს, ამ დანაპირებს შეასრულებს. კარგი იქნებოდა, ეს ახლავე გაეკეთებინა. ახლა უფრო იოლად შეძლებს დალაგებას. რაც უფრო იქით გადასწევს დაბრუნებას, მით უფრო გაუჭირდება დალაგება.

სანდრო ბრეგაძე: „საქართველო უკანონო მიგრანტებისგან უნდა გავწმინდოთ“

ვინ დგას ქართველთა მარშის უკან და რას აპირებს ვინმე აბდულა

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დგას ქართველთა მარშის უკან, მონაწილეობს თუ არა პროცესებში ღარიბაშვილი, რა პროვოკაციას გეგმავს ვინმე აბდულა, რის გაკეთება მოუწევს შსს-ს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– სანდრო, რამდენიმე დღის წინ თქვენ ქართველთა მარშის მოწყობის იდეით გამოხვედით. ეს იდეა საზოგადოების ნაწილმა აიტაცა, მეორე ნაწილი კი ამას პროვოკაციად თვლის. ერთ-ერთი ვერსიით, ამ ღონისძიების უკან რუსეთი დგას.

– ჩვენ მიერ დაანონსებულ ქართველთა მარშს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვიღაცებს ამის ძალიან შეეშინდათ და ათას რამეს გვაბრალებენ, მათ შორის რუსეთის აგენტობასაც. ჩემთვის ამის დაბრალება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

– რატომ არის უხერხული?

– იმიტომ, რომ მე ვარ ადამიანი, რომელიც რუსეთის არმიას 18 წლის ასაკში ავტომატით ხელში ებრძოდა. თან იმასაც ხომ გააჩნია, ვისგან მოდის ბრალდება. რუსეთის აგენტობას მე სააკაშვილის ხროვა მაბრალებს. იმ კაცის ხროვა, რომელიც კაგებეშნიკ ბიძა თემურ ალასანიასთან ერთად ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველოში რუსული პოლიტიკა გატარებულიყო. ამ ხალხმა ნახევარი საქართველო რუსეთს მიჰყიდა. რუსეთს მე, როგორც ოკუპანტს, ისე ვუყურებ. მას ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები.

რუსეთის აგენტების გარდა სხვა იარლიყებსაც გვაწებებენ. ზოგი მანჯურიის აგენტადაც კი მოგვიხსენიებს. მინდა ამ ხალხს იმედი გავუცრუო, მათი არცერთი ვერსია სწორი არ არის. ჩვენ სულ სხვა ქვეყნის აგენტები ვართ. ამ ქვეყანას საქართველო ჰქვია.

დიახ, ჩვენ საქართველოს აგენტები ვართ. ნაცებისა და ბოკერიას ხვლიკებს ვურჩევ, სხვის აგენტობაზე საუბარს თავი დაანებონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ.

– ნაცებისა და ბოკერიას ხვლიკების გარდა, ქართველთა მარშის უკან რუსულ ინტერესებს სხვებიც ხედავენ. ამაზე ეჭვებს ხელისუფლების მეოცნებეებიც აკეთებენ.

– სიმართლე თუ გინდა, არავისი აზრი არ მაინტერესებს. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, ეს ჩემი ქვეყნის ინტერესებია. პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ, გაუთავებლად ილაპარაკონ.

ქართველთა მარშის უკან არცერთი პოლიტიკური ძალა არ დგას. ეს გახლავთ ევროპული ყაიდის ღონისძიება. ასეთი მარში გაიმართა ბერლინში, პარიზში, ამსტერდამში, როტერდამში, კოპენჰაგენში. ევროპაში ასეთი რამეები ჩვეულებრივი ამბავია.

ჩვენი მარშის მიმართ ვისაც კითხვები აქვს, მათ გასაგონად ვამბობ, რომ მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვთ – კანონის აღსრულებას.

– რომელი კანონის?

– საქართველოს კანონმდებლობით, ნებისმიერი არალეგალი მიგრანტი დაკავებასა და ქვეყნიდან დეპორტაციას ექვემდებარება. საქართველოს კანონმდებლობითვე პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა და პროსტიტუციაში არასრულწლოვანების ჩაბმა ისჯება. ამ არალეგალებს ჩვენი 13-14 წლის გოგოები ჰყავთ პროსტიტუციაში ჩაბმული.

მოვითხოვთ, მოხდეს არალეგალების დეპორტაცია. საქართველოს პარლამენტისგან კი ევროპული ტიპის საემიგრაციო კანონის მიღებას ვითხოვთ, რომლის მიხედვითაც, კრიმინალები და მანიაკები საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის უფლებას ვერ მოიპოვებენ.

აი, ესაა ჩვენი მოთხოვნები, აბსოლუტურად ცივილიზებული და მსოფლიოსთვის მისაღები.

– ამ აქციის გამართვას აღმაშენებლის გამზირზე აპირებთ, სადაც ძალიან ბევრი ღამის კლუბია. დარწმუნებული ხართ, რომ მარში მშვიდობიანად დასრულდება?

– ჩვენ აუცილებლად გვექნება კონსულტაციები შსს-თან და საპატრულო პოლიციასთან. ჩვენი მარში არის მშვიდობიანი და აქედანვე ვაცხადებ, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ძალადობის ხერხებს მიმართავს, იქნება შემოგზავნილი პროვოკატორი. პირობას გაძლევთ, რომ მოძალადე უმკაცრესად აგებს პასუხს.

– ანუ არ ხართ დარწმუნებული, რომ მარში მშვიდობიანად დასრულდება?

– მარში კი არა, ფეხბურთის მატჩის დროსაც არავინ არის დარწმუნებული, რომ არეულობა არ მოხდება. სიმშვიდე უნდა უზრუნველყოს შსს-მ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და შსს-ს ეკისრება.

– აბა, ორგანიზატორებს რა გეკისრებათ?

– მარშის მოწყობა. ამასთან, მაქსიმალურად ვითანამშრომლეთ სახელმწიფოსთან, რომ მარში მშვიდობიანად დასრულდეს.

ექსკლუზიურად შემიძლია ერთი ინფორმაციაც მოგაწოდოთ. არის ვინმე აბდულა, წარმოშობით სირიელი, გვარს ამ დღეებში დამიდგენენ. ის ერთგვარი მაფიის ბოსია. მან რამდენიმე დღის წინ გამართა თავისიანების შეკრება და არეულობის მოწყობის განკარგულება გასცა.

– რა არეულობაზეა საუბარი?

– აბდულამ შეკრება ჩვენ მიერ დაანონსებული ქართველთა მარშის შემდეგ გამართა. მისი ბრძანებით, მარშის მონაწილეებზე უნდა მოხდეს თავდასხმა. იმედია, შსს ამ ინფორმაციას გაითვალისწინებს. ჩვენ ძალადობას არ ვაპირებთ და მინდა, ეს ყველამ დაიმახსოვროს.

– ზემოთ ვსაუბრობდით, თუ ვინ შეიძლება იდგეს ამ ღონისძიების უკან. ერთ-ერთ ორგანიზატორად ირაკლი ღარიბაშვილს ასახელებენ. აქვს რაიმე კავშირი მას თქვენთან?

– ირაკლი ჩემი მეგობარია, ნამდვილი ქართველია და ძალიან მიყვარს, მაგრამ მას ამ მარშთან საერთო არაფერი აქვს. მასთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია.

– რამდენი ხანია, რაც არ გილაპარაკიათ?

– დიდი ხანია არ გვილაპარაკია. ირაკლიზეც შეგნებულად ავრცელებენ. რაც არ უნდა იჭორაონ, ეს მარში ჩატარდება. მასში მონაწილეობას, სულ მცირე, 10.000 კაცი მიიღებს. ჩვენ აუცილებლად აღვადგენთ სამართლიანობას, საქართველოში საეჭვო წარმოშობის პირები ვეღარ მიიღებენ ბინადრობის უფლებას. საქართველო საეჭვო წარმოშობის მიგრანტებისგან უნდა გავწმინდოთ. 14 ივლისი ამ უკანონობის დასასრულის დასაწყისი იქნება.

მამუკა არეშიძე: „ლაფანყურის ამბავი სააკაშვილის იდეა ნამდვილად არ იყო“

ნონა ცაბაძე

„საქართველო-ამერიკის იარაღით ვაჭრობის შეთანხმების გამომზეურება არ შეიძლებოდა“

გასულ კვირას ტელეკომპანია რუსთავი 2-მა დოკუმენტი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოსა და ამერიკას შორის იარაღით ვაჭრობაზე იყო საუბარი. ამ იარაღით კი სირიაში მოქმედი ოპოზიცია მარაგდებოდა. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ თემას ეხმიანება.

– ბატონო მამუკა, რის თქმა შეგიძლიათ აღნიშნულთან დაკავშირებით?

– ამ დოკუმენტში, თუ ის რეალური დოკუმენტია, საუბარი იყო ორ სახელმწიფოს შორის იარაღით ვაჭრობაზე, საქართველოსა და ამერიკას შორის. ეს თუ მართალია, ამით დიდი განსაკუთრებული მსოფლიოსთვის არაფერი მომხდარა, მაგრამ ამ საქმის გახმოვანება რუსთავი 2-ის მხრიდან არის სახელმწიფო ინტერესების ხელყოფა. იმის გამო, რომ შენ გინდა, არსებული ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინო, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესების დისკრედიტაციაც უნდა მოახდინო.

– ანუ არის თემები, რომლებსაც არ უნდა შეეხო?

– რასაკვირველია! ვინმეს თუ ჰგონია, რომ მე არ ვიცი ბევრი რამ, იგივე რა ხდებოდა 2008 წლის აგვისტოში, რა ხდებოდა 2012 წელს ლაფანყურის მოვლენებთან დაკავშირებით, მე და ჩემი კოლეგები არასოდეს ვსაუბრობთ იმაზე, რაც ქვეყნის ინტერესებს აზიანებს.

– თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით? არსებობს მსგავსი ხელშეკრულება ამერიკასა და საქართველოს შორის?

– ეს კონკრეტული ხელშეკრულება თუ არსებობს, არ ვიცი, მაგრამ ამგვარი ხელშეკრულება რომ შეიძლება არსებობდეს, ამას არ გამოვრიცხავ. გეოპოლიტიკურ სივრცეში ხდება სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების გაფორმება პარტნიორებს შორის, მათი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

– სააკაშვილის ხელისუფლების დროს ასევე ხშირად საუბრობდნენ უკანონო იარაღით ვაჭრობაზე.

– ეს კიდევ სხვა საკითხია. მაშინ ეს გახმაურებული ამბავი იყო. ჩვენი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის შეძენილი რაკეტები აღმოჩნდა სრულიად სხვა ქვეყანაში, ჩვენთან კი შემოვიდა ძველი და უვარგისი სამხედრო მასალა.

– რამდენად სერიოზულად დაზიანდა ამ დოკუმენტის გამომზეურებით ქვეყნის ინტერესი?

– ამ დოკუმენტის მიხედვით გამოვიდა ისე, რომ საქართველო აწვდის იარაღს ე.წ. ზომიერ აჯანყებულებს. ანუ საქართველო ჩარეულია სირიის კონფლიქტში ამ ფორმით, რაც ჩვენ არანაირად არ გვაწყობდა. კი, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენი პარტნიორების ქმედებას ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ჩვენ თვითონ ჩართულები არა ვართ. დეკლარაციის დონეზე ასე ითქმება, მთავრობა ასე ამბობს და უცებ რუსთავი 2 აქვეყნებს ასეთი ტიპის დოკუმენტს, რითაც გამოდის, რომ არა მხოლოდ დეკლარაციის დონეზე, არამედ უშუალოდ ყოფილა ჩართული საქართველოს ხელისუფლება ამ საქმეში. ჩვენი ჯარისკაცები რომ მონაწილეობდნენ ამ პროცესებში, კიდევ გასაგებია.

ეს არის ყველაზე უწყინარი ჩართულობა, რაც შეიძლება ყოფილიყო ჩვენს სიტუაციაში, მაგრამ არ არის სასურველი, რომ ეს ჩვენი მტრის სალაპარაკო გახდეს.

– თქვენ ამბობთ, უწყინარი ჩართულობაო, მაგრამ შესაძლოა ამ ინფორმაციის გაჟღერებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნას ქვეყანას? რა გამოძახილი მოჰყვება ყოველივე ამას?

– აი, სწორედ ეგ არის საქმე! წარმოიდგინეთ, ამ იარაღით, რომელსაც ვითომდა ქართული მხარე აწვდის სირიაში მყოფ ოპოზიციას, დაიღუპოს რომელიმე რუსი ინსტრუქტორი, რა ამბავი მოჰყვება ამას. გვინდა ეს ამბავი? ნამდვილად არ გვინდა!

– ასე მარტივად ხელმისაწვდომი იყო რიგითი ჟურნალისტისთვის ეს დოკუმენტი თუ ვიღაცამ სერიოზულად იმუშავა?

– რასაკვირველია, ეს რომ ჟურნალისტების მოპოვებული დოკუმენტი არ არის, ფაქტია. ეს არის რომელიღაცა ბობოლა ნაციონალის მოპოვებული დოკუმენტი, რომელიც გადასცა ჟურნალისტებს. ამით დამატებითი პრობლემა შეუქმნეს ქვეყანას სრულიად არაფრის გამო, ცარიელ ადგილას!

მაგალითად, ლაფანყურის ამბავი, როგორც დაიწყო ის თავიდან აპრილში, სრულიად ნათელია, ეს ვისი ინტერესებისთვის ხდებოდა ეს ამბავი, ვინ იყო ამის ინიციატორი და როგორ ხდებოდა ეს დინამიკა, მაგრამ მე თავში არ მომივა არასოდეს, რომ ეს მოვყვე.

– პერიოდულად ვრცელდებოდა ამ თემაზე ინფორმაციები. ბოლოს ერთ-ერთმა დაკავებულმაც სკანდალური განცხადებები გააკეთა. თქვენ კიდევ უფრო სერიოზული ინფორმაციები გაქვთ?

– კი, მაქვს. ამ პირმა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, თქვა, რომ ის იყო ჩანერგილი რუსული სპეცსამსახურების მხრიდან ამ მოსამზადებელ პროცესში და ის იყო რუსული სპეცსამსახურების აგენტი. ეს ამბავი ჩემთვის ცნობილი იყო.

– და თქვენ იცით გაცილებით მეტი?

– რასაკვირველია. მე კარგად ვიცი, ვის ინტერესებში იყო ამის დაწყება. ვინ ვინ გამოიყენა. გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება გამოვიდა, როგორც მარიონეტი! ხან ერთმა ქვეყანამ გამოიყენა მათი უვიცობა, ხან მეორე ქვეყანამ გამოიყენა მათი ასეთი საქმეში ჩაუხედაობა.

– ეს არ იყო სააკაშვილის იდეა და მისი წამოწყებული პროვოკაცია?

– ნამდვილად არ იყო სააკაშვილის იდეა! სააკაშვილს ჩვენ ვედავებოდით იმაში, რომ ტყუილების ლაპარაკი დაიწყო, რომ ვითომ ისინი შემოდიოდნენ იქიდან აქეთ, რუსეთიდან საქართველოში. გარდა მაგისა, რომ ასე მოექცნენ ამ ადამიანებს, ჩამოიყვანეს, გამოიძახეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან სხვა დავალებისა და ფუნქციისთვის და სულ სხვა შედეგი მიიღეს. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ 29 აგვისტოს დილის ამბავი სააკაშვილის ხელისუფლებისთვის სიურპრიზი იყო.

– არ იცოდნენ?

– არა, მაგრამ არ ცხრებოდნენ, ბოლომდე აწვებოდნენ იმ ვერსიას, ვითომ ყველაფრის აზრზე იყვნენ. დღესაც მაგას ლაპარაკობს სააკაშვილი. იქ კიდევ სხვა ქვეყნების ინტერესები იყო, რაზეც ჩვენ არ ვილაპარაკებთ, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში დაზარალდება ჩვენი ქვეყნის ინტერესი.

– აფხაზეთსა და სამაჩაბლოში წვრთნები აქტიურად მიმდინარეობს. გვესმის შეფასებები, რომ ეს საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის. რას იტყვით თქვენ?

– ეს წვრთნები, სამწუხაროდ, ტრადიციული გახდა. ამ წვრთნებით იწყება ხოლმე „ზაფხულის სეზონი“ და შემდეგ გრძელდება წვრთნებით, რომლებსაც ჰქვია „კავკასია“. „კავკასია 2008“ რითიც დამთავრდა, ყველასთვის ცნობილია.

აფხაზეთში მიმდინარე წვრთნები არის ამ ღონისძიების კონტექსტში, მაგრამ ეს არის პარალელური წვრთნები. საქართველოს ტერიტორიაზეც პარალელურად ხდებოდა წვრთნები ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან ერთად. გარდა ამისა, საქართველო მონაწილეობდა წვრთნებში, რომელთაც სამი ქვეყანა აწარმოებდა: აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი. პარადოქსული სიტუაცია იქმნება. ამ პატარა სივრცეში ორი ბლოკი ატარებს წვრთნებს!

– რამდენად ფეთქებადსაშიშია სიტუაცია?

– ამწუთიერი ხიფათის მოლოდინი არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი არ მოხდება. თუ გაგრძელდება ნატოს ინტეგრაცია და საქართველოს სვლა ნატოსკენ, მაშინ გამორიცხული არაფერია. თუმცა რუსეთი სხვა ალტერნატივას არ გვიტოვებს თავისი ქმედებით. ვიდრე აფხაზეთში დაიწყებოდა ეს მასშტაბური წვრთნები, კარასინი გამოვიდა და ეს წვრთნები იმით გაამართლა, რომ საქართველოს ინტეგრაცია ხდება ნატოში.

– ამ ფონზე რამდენად ადეკვატურია ჩვენი ხელისუფლების ნაბიჯები?

– ერთი შეხედვით, ხელისუფლების ნაბიჯები ჩანს ძალიან სუსტი, მაგრამ, მეორე მხრივ, მე ვამართლებ ამ ნაბიჯებს, რადგან ეს არის მშვიდობაზე ორიენტირებული ნაბიჯები. კბილებით რომ გიჭირავს სიტუაცია, დაახლოებით ეგეთი ვითარებაა. დღეს რუსეთში ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია, თუ სასწრაფოდ არ უშველეს, რუსული ეკონომიკა ჩამოიშლება. ამ ფონზე რუსული სამხედრო ხელმძღვანელობა იწყებს ხოლმე რაღაცა კონფლიქტს, რომ გადაფაროს თავის საზოგადოების თვალში უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. სწორედ ამიტომ არის საშიში დღეს რუსეთი. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ-ზეგ ომი დაიწყება. არსებობს ისეთი სერიოზული ხიფათიც, როგორიც არის დამარცხებული ისლამური ხალიფატი.

– აქედან წამოსული საფრთხე რამდენად სერიოზულია?

– ისლამური ხალიფატისთვის საქართველო არ არის პირველი რიგის ქვეყნებში, რომელიც ტერორისტული სამიზნე გახდება. დღეს მთავარი ტერორისტული სამიზნე ისლამური ხალიფატისთვის არის დიდი ქვეყნები. ევროკავშირი, განსაკუთრებით ისეთი ქალაქები ევროკავშირისა, სადაც ტერაქტი რეზონანსული იქნება. ესენია პარიზი, ბრიუსელი, ბერლინი და ასე შემდეგ.

ასევე ეს არის ირანი, რომლის წინააღმდეგაც ომი ხალიფატმა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ გამოაცხადა და მოხდა წარმოუდგენელი რამ. ისეთ ტოტალიტარულ ქვეყანაში, როგორიც არის ირანი, რომელსაც ჰყავს საუკეთესო სპეცსამსახურები და საუკეთესო დაცვა ხდება თეირანისა, იქ მაინც მოხდა ასეთი მასშტაბური ტერაქტი.

ასევე სერიოზული სამიზნეა თურქეთი. ხოლო რაც შეეხება კავკასიას და კონკრეტულად საქართველოს, ეს მხარე ისლამური ხალიფატისთვის ბაზის ცენტრად განიხილება. რასაკვირველია, კავკასიელი მებრძოლები შეეცდებიან, აქ დაბრუნდნენ და თავისი გავლენები გააძლიერონ, ოღონდ ჯერ ტერორისტული სამიზნე არ ვართ, თუ არ ჩავთვლით დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

– ანუ შესაძლოა საელჩოები გახდეს თავდასხმის ობიექტი?

– შეიძლება იყვნენ სამიზნეები. ფიზიკური არ არის, მაგრამ კარგა ხანია, რაც არსებობს იდეოლოგიური ტერორი, რომელშიც ჩვენ უკვე ვცხოვრობთ. მათთვის კავკასია ამ ეტაპზე მოსამზადებელი სივრცეა. მიმდინარეობს მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, ჯერ მუსლიმანი მოსახლეობის, ხვალ კი ჩვენი რიგი დადგება.

24 წელი ტამიშის ბრძოლიდან — თავდაცვის სამინისტრომ სამშობლოსათვის დაღუპულებს პატივი მიაგო

აფხაზეთში, დაბა ტამიშთან გამართული ბრძოლიდან 24 წელი გავიდა. გუშინ ტამიშის ოპერაციის დროს დაღუპული გმირები თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა გაიხსენეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ გმირთა მოედანზე მდებარე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და ქართველი მებრძოლების გმირობის ისტორია გაიხსენა.

გმირთა მოედანზე თავდაცვის მინისტრთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი, ვლადიმერ ჩაჩიბაია და მისი მოადგილე, ბრიგადის გენერალი, შალვა ჯაბახიძე იმყოფებოდნენ. ტამიშის გმირების პატივსაცემად, გმირთა მემორიალთან საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვა წარმომადგენლები და აფხაზეთის ომის ვეტერანებიც მივიდნენ.

1993 წლის, 2 ივლისს, 05:00 საათზე, დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ხომალდით საზღვაო დესანტი გადმოსხა. დესანტი 600 კაცისგან შედგებოდა. გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინთხში განლაგებულმა ქართულმა ქვედანაყოფებმა მიიღეს. მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა „დუშეთის“, „შავნაბადისა“ და „ავაზის“ ბატალიონებმა. ქართულმა მხარემ რამდენიმედღიანი ბრძოლის შედეგად 300-მდე მებრძოლი დაკარგა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, ქართველმა ჯარისკაცებმა დესანტის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება შეძლეს.

ნიუპოსტი

საქართველოს პატრიარქმა აბიტურიენტები დალოცა

გუშინ, 2 ივლისს, საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ აბიტურიენტები დალოცა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დღეს, 3 ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება. გამოცდა 4 ივლისის ჩათვლით, ორ სესიად ჩატარდება.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს 41.200-მდე აბიტურიენტია დარეგისტრირებული. გამოცდები 27 ივლისის ჩათვლით ჩატარდება.

პირველი რადიო

რუსეთი საქართველოს ყველა მხრიდან უტევს

„რუსეთი თავისი სისუსტის კომპენსაციას შეუპოვრობით ახდენს“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დღეებში საქართველოს მიმართ სხვადასხვა სახის აქტივობას ამჟღავნებს რუსეთი. საოკუპაციო ზოლის პერმანენტულ გადმოწევასა და სხვა აგრესიას დაემატა მკვეთრი განცხადებები და კულტურათა დიალოგის შემოთავაზება.

იმ დროს, როცა გაკეთდა განცხადება აგვისტოს დასაწყისში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკლ პენსის საქართველოში ვიზიტის თაობაზე, გავრცელდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის გამონათქვამები საქართველოს მიმართ.

კარასინის პირით რუსეთი შეშფოთდა, რომ საქართველო ნატოს უახლოვდება. მისი თქმით, საქართველო-ნატოს თანამშრომლობამ ისეთი ფორმა მიიღო, რომ ფაქტობრივად საქართველო ხდება რუსეთის შეკავების პოლიტიკის მონაწილე.

კარასინი უკმაყოფილოა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკით რუსეთის მიმართ:

– სამწუხაროდ, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კეთილმეზობლური და თანასწორუფლებიანი დიალოგის ნაცვლად საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება აგრძელებს იმის მტკიცებას, თითქოს ისინი ოკუპირებულია. ის ამ თეზისს იყენებს ნატოსთან შემდგომი დაახლოებისთვის. ამ კუთხით ახლანდელი ხელისუფლების პოზიცია არ განსხვავდება ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პოზიციისაგან.



სხვაგვარი მიდგომა ჰქონდა პუტინის გარემოცვის წარმომადგენელ მიხაილ შვიდკოის. რუსეთის ყოფილი კულტურის მინისტრი შვიდკოი ამჟამად პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელია კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში.

ამ დღეებში ის თბილისში იმყოფებოდა, რასაც პროტესტი მოჰყვა საზოგადოებაში. მიხაილ შვიდკოი დაესწრო სამხრეთ კავკასიის მედიაფორუმს, რომელზეც იგი საპატიო სტუმრის სტატუსით მოიწვიეს.

შვიდკოიმ თბილისში განაცხადა, რომ რუსეთისა და საქართველოს დაახლოებას 10 წელიწადი მაინც დასჭირდება. მისი თქმით, ქვეყნებს შორის არასაკმარისი კონტაქტებია, პირველ რიგში, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.

მანვე აღნიშნა, რომ 2008 წელს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტით ორივე მხარემ წააგო.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მაიკლ პენსი საქართველოში დონალდ ტრამპის დავალებით ჩამოდის. მისი ტურნე 30 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. საქართველოს გარდა, ვიცეპრეზიდენტი ჩავა მონტენეგროში, ასევე ესტონეთში, სადაც იგი, ესტონეთის გარდა, ლატვიისა და ლიტვის ლიდერებსაც შეხვდება.

მონტენეგრო, ისევე, როგორც ბალკანეთის სხვა სახელმწიფოები, აშშ-სა და რუსეთს შორის უთანხმოების საგნად რჩება.

მონტენეგრო დაახლოებით ერთი თვის წინ ნატოს წევრი გახდა. ამ სახელმწიფოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლას ეწინააღმდეგებოდა რუსეთი.

ამ თემას უბრუნდება ამერიკელი სენატორი ჯონ მაკეინი. მისი თქმით, პუტინის აგრესიული ამბიციის გამოვლინებაა ის, რაც 2016 წლის ოქტომბერში მონტენეგროში მოხდა, როცა რუსეთის დაზვერვის თანამშრომლებმა ამ ქვეყანაში მთავრობის დამხობა და პრემიერის მკვლელობა ცადეს.

მაკეინი საქართველოსაც ახსენებს:

– რუსეთი 2008 წელს საქართველოში შეიჭრა, 2014 წელს – უკრაინაში. 2016 წელს რუსეთმა მოაწყო თავდასხმა აშშ-ის არჩევნებზე, 2017 წელს შეეცადა ჩარევას საფრანგეთის არჩევნებში. რუსეთი იმავეს გააკეთებს გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.



უცხოური მედია წერს რუსეთის მზარდ ბირთვულ არსენალზე. „თაიმსის“ შეფასებით, დასავლეთმა დასუსტებული რუსეთის მიმართ სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს:

– რუსეთი თავისი სისუსტის კომპენსირებას რკინისებური შეუპოვრობით ახდენს. რუსეთის ბირთვული ტრაბახი მუშაობს მაშინ, როცა ის აბრკოლებს მოწინააღმდეგის სიმტკიცეს. გვექნება თუ არა ჩვენ ეს სიმტკიცე?

„კომპანია „საქართველოს“ დაზარალებული მეანაბრეები პოლიციამ დაარბია“

რამდენიმე დღეა, სახელმწიფო კანცელარიასთან საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულები შიმშილობენ. „ახალ თაობას“ დაზარალებულების უფლებათა დამცველი მამუკა ტუსკაძე ესაუბრა.

მთავრობის სახლთან საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულების აქცია მიმდინარეობს. 8 თვეა უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი საფინანსო ბაზარზე, – გვითხრა მამუკა ტუსკაძემ.

გულიკო ბალაძე

– ბატონო მამუკა, როცა აცხადებთ, საფინანსო ბაზარზე უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილიო, რას გულისხმობთ?

– კონკრეტულად, საფინანსო კომპანია „საქართველოს“ გაკოტრებას ვგულისხმობ, რამაც გამოიწვია ადამიანების დაზარალება. შედეგად რამდენიმე ადამიანმა თავიც კი მოიკლა. საფინანსო კომპანიის დამფუძნებლების წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ განაჩენი არ დამდგარა.

– მთავრობამ რა უნდა გააკეთოს, როცა საქმე სასამართლოში განიხილება?

– სწორედ ამის გამო ორი დღის წინ მთავრობის კანცელარიამ გაავრცელა განცხადება, საქმე სასამართლოშია და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდოთო. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე ორი თვე დარჩა. საპროცესო ვადაც აღარ არის. ორი თვის შემდეგ, როცა სასამართლო გაასამართლებს ფერაძეს, უცებ დავდგებით იმ რეალობის წინაშე, რომ სამოქმედო დრო აღარ გვექნება.

– მაშინ რის გაკეთებას აპირებთ?

– ჩვენი თხოვნით საქართველოს პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 4 დეპუტატის შემადგენლობით. ამას ემატება 2 ადვოკატი – მამუკა ტუსკაძე და აკაკი ჩარგეიშვილი.

– ამ ჯგუფისგან რას ელოდებით?

– ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს და პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინოს დასკვნა, თუ რა გზებით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. დასკვნაში რა ჩაიწერება, ჯერჯერობით, ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ. ჯგუფი უკვე მუშაობს, რომ რეკომენდაციის სახის დასკვნა არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარეს, არამედ პრემიერ-მინისტრსაც გადაეგზავნოს. რეკომენდაციაში უნდა იყოს გაწერილი იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამ პრობლემის მოგვარება.

– ამის იმედი გაქვთ?

– ამას აჩვენებს დრო. 2.300 ადამიანია დაზარალებული. რადგან მეანაბრეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო ჯგუფი ამზადებდა დასკვნას, მეანაბრეებმა გადაწყვიტეს, მთავრობისთვის მიემართათ.

– მთავრობის კანცელარიის წინ აქცია რატომ დაიწყეს?

– პროცესის დაჩქარების მიზნით მეანაბრეებმა გადაწყვიტეს, დაეწყოთ საპროტესტო აქცია შიმშილობის სახით და ასევე გამოსვლები, რათა მთავრობამ, კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრმა, საპარლამენტო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება.

მამუკა ტუსკაძე: „პრემიერთან საკოორდინაციო საბჭოს შექმნას ვითხოვთ“

იქნება პარლამენტისა და პრემიერის მიერ შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ ეროვნული ბანკის, ფინანსური პოლიციის, ეკონომიკის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და ყველა იმ უწყების წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ ამ საკითხის მოგვარება.

– თუ საკოორდინაციო საბჭოს შექმნა გადაწყვეტილია, დაზარალებული მეანაბრეები რატომღა შიმშილობენ?

– საკითხი ახლა წყდება. მეანაბრეები ითხოვენ, მთავრობის ეგიდით სასწრაფო წესით შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო და არ დაელოდონ პარლამენტის სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებას.

– სასამართლო ხომ მიმდინარეობს, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა რა საჭიროა?

– სასამართლო ადგენს საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მეპატრონის, ფერაძის, ბრალეულობას. ახლა სასამართლო არ ადგენს, მეანაბრეებს დაუბრუნდეთ თუ არა ფული.

– მეანაბრეებს ფულის დაბრუნებაზე სასამართლოში სარჩელი არ აქვთ შეტანილი?

– თანხის დაბრუნებაზე ჯერ სარჩელი არ არის შეტანილი იმიტომ, რომ ფულის დაბრუნებაზე სამოქალაქო წესით ხდება დავა, პროცესი 3-დან 5 წლამდე გაგრძელდება. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ეს საკითხი სამთავრობო რესურსებით გადაწყდეს.

– სამოქალაქო წესით დავისას ვადები არ არის დაწესებული?

– ვადები დაწესდება, ფერაძის პროცესი რომ დასრულდება.

– პრემიერთან შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ დაზარალებული მეანაბრეებისთვის ფულის დაბრუნების საკითხი უნდა გადაწყვიტოს, მექანიზმები უნდა შეიმუშაოს თუ რა უნდა გააკეთოს?

– რა თქმა უნდა, მექანიზმები უნდა შეიმუშაოს. საპარლამენტო ჯგუფი ამას ვერ შეიმუშავებს. კონკრეტული მექანიზმები მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მთავრობის განკარგულებით. განკარგულება ნორმატიული აქტია და აუცილებელი აღსასრულებელია. მეანაბრეებს პროტესტის გამოხატვა ურთულეს პირობებში უხდებათ.

– რატომ?

– მეანაბრეებს პროტესტის გამოხატვაში ხელს უშლიან ზონდერპოლიციელები. ორი დღის წინ მოცივდნენ, დაარბიეს მოშიმშილეები, დაღლეწეს დროშები და რაც კი თვალსაჩინოება ჰქონდათ აქციის მონაწილეებს.

– რომელი განყოფილების პოლიციელები იყვნენ?

– მე-7 განყოფილების თანამშრომლები და უსაფრთხოების სპეცრაზმი იყო. ღამის 3 საათზე მოვიდნენ. კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე შუქი ჩაქრა და ერთ წუთში ყველაფერი დალეწეს.

– ხომ არ გაგირკვევიათ, ბრძანება ვინ გასცა?

– ჯერჯერობით ვარკვევთ.

– საჩივარი შეიტანეთ?

– დიახ, გენინსპექციას მივმართეთ საჩივრით მე-7 განყოფილების წინააღმდეგ. მე-7 განყოფილება ამას უარყოფს. ერთი პრობლემა ეს არის.

– ანუ რა პრობლემა გვაქვს?

– რეალურად, ქვეყანაში დღეს გამოხატვის თავისუფლების პრობლემა გვაქვს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– წინა აქციებზე, რომლებსაც რუსთაველზე, პარლამენტის წინ ვატარებდით, მე და 4 მეანაბრე დაგვიჭირეს. 2 დღის წინ მოშიმშილეები დაარბიეს, ყველა სააგიტაციო მასალა გაანადგურეს და გადაყარეს. ერთ-ერთმა მეანაბრემ თავის მოკვლა ცადა. ნებისყოფა აღარ ჰყოფნით. 40-გრადუსიან, თაკარა მზის ქვეშ ხალხი შიმშილობს, მაგრამ არავინ გამოვიდა მთავრობიდან და არ იკითხა, რა ხდება, ხალხო, რა გიჭირთო.

– როდემდე გააგრძელებენ შიმშილობას?

– შიმშილობას მანამდე გააგრძელებენ, სანამ პრობლემა არ გადაწყდება. 3- დღიანი პერმანენტული შიმშილობის აქციაა. 3-3 დღეში მეანაბრეები ერთმანეთს ენაცვლებიან.

– მშრალ შიმშილობაზე არიან?

– მხოლოდ წყალს სვამენ. 2.300 მეანაბრეა და, თუ ამ გრაფიკით გააგრძელებენ აქციას, შიმშილობა, სავარაუდოდ, 2 თვე გაგრძელდება, მანამდე, სანამ მათი პრობლემის მოსაგვარებლად სამთავრობო ჯგუფი არ შეიქმნება.

რა პროცედურებია საჭირო უფასო წამლების მისაღებად

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე უფასო წამლების პროგრამის მსურველებისათვის პროცედურების გავლის აუცილებლობაზე საუბრობს, რის შემდეგაც ბენეფიციარს უფლება ექნება სასურველი მედიკამენტები აიღოს.

– პროგრამა, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო იწყებს, ეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემებს (მაღალი წნევა, გულის უკმარისობა, კორონარულ სისხლძარღვთა დაავადება), ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს (დიაბეტის მეორე ტიპი და ფარისებური ჯირკვლის დაავადებები), ბრონქიალურ ასთმას და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს. სტატისტიკის მიხედვით, 60%-ზე მეტი ამ დაავადებებზე მოდის და 700.000-მდე მოქალაქეს ექნება უფლება, ისარგებლოს ამ პროგრამით



რაც შეეხება პროცედურებს, აუცილებელია ოჯახის მკურნალ ან სოფლის ექიმთან კონსულტაცია და მისვლა. შესაბამისი რეცეპტის გაცემის შემდეგ, ბენეფიციარი რეგისტრირდება სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლოეს განყოფილებაში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ბენეფიციარი მოხვდეს ერთიან ელექტრონულ ბაზაში და დარეგისტრირების შემდეგ მიდის აფთიაქში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, რეცეპტით და მას შეუძლია მიიღოს 3 თვის მედიკამენტები, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ.

გაზზე მომუშავე მანქანებისადმი მიდგომა ტექდათვალიერების ამოქმედების შემდეგ გამკაცრდება

შინაგან საქმეთა სამინისტრო აირბალონიანი მოწყობილობების მქონე სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს მიმართავს.

სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ მძღოლებმა სატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული სისტემების შემოწმება და შესაბამისი სერტიფიკატების აღება ტექდათვალიერების სისტემის ამოქმედებამდე უნდა მოახდინონ, რადგან ტექდათვალიერების სისტემის ამოქმედების შემდეგ ამ სფეროში ადმინისტრირება გამკაცრდება.

„ინტერპრესნიუსი“ შსს-ს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით განვმარტოთ, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან არ შეიცვლება სამართლებრივი რეჟიმი აირბალონიანი მოწყობილობის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისათვის და მათი შემოწმებისა და რეაგირების წესი ბუნებრივი აირის სისტემის მონტაჟზე იქნება იგივე, რაც იყო 2017 წლის 1 ივლისამდე და ეს მიდგომა გამკაცრდება მხოლოდ ტექდათვალიერების სისტემის ამოქმედების შემდეგ.

დღეის მდგომარეობით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის მე-5 მუხლით (ექსპლუატაციის წესების დარღვევა) დადგენილი მოთხოვნების შემოწმებას და მასზე რეაგირებას ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა ვიზუალურად აშკარაა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად სახეზეა გაუმართაობისგან საფრთხის წარმოშობის მაღალი ალბათობა. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ტექდათვალიერებას და ასეთი სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

გამართული ტექდათვალიერების სისტემის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა

აღსრულების სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მექანიზმს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, გარდა ზემოაღნიშნული ორი შემთხვევისა (ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაუმართაობით გამოწვეული აშკარა საფრთხე და სავალდებულო ტექდათვალიერებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ მოთხოვნების დარღვევა) არ განახორციელებს 119-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას და, შესაბამისად, არ მოხდება ამ მძღოლებისათვის ქულების შემცირება.

ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს აირბალონიანი მოწყობილობების მქონე სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი წესით მოახდინონ მათ სატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული სისტემების შემოწმება და შესაბამისი სერტიფიკატების აღება ტექდათვალიერების სისტემის ამოქმედებამდე, რადგან ტექდათვალიერების სისტემის ამოქმედების შემდეგ ამ სფეროში ადმინისტრირება გამკაცრდება.

1 ივლისიდან ფასის ლარით მითითება სავალდებულო გახდა

2017 წლის 1 ივლისიდან მეწარმე ვალდებულია, საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციისა და მომსახურების გაწევის შეთავაზების ან რეკლამირების შემთხვევაში ფასი ლარით მიუთითოს.

ცვლილებები რეკლამისა და ეროვნული ბანკის შესახებ კანონებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ლარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში მომზადდა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად ახორციელებს.

ექვსთვიანი პერიოდი მეწარმეებს მარკეტინგული აქტივობების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად მიეცათ.

საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო, ონლაინ და საჯარო სივრცეში ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებ-

ბის ან/და რეკლამირებისას ფასის ლარით დადების წესის დარღვევაზე, ადმინისტრირებას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განახორციელებს.

საკანონმდებლო სიახლის მიზანი საქონლის რეალიზაციის ან მომსახურების რეკლამირებისას მომხმარებელთა ინტერესების დაცვაა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, წინადადების მიმცემის ან რეკლამის დამკვეთის მიერ ცვლილებით გათვალისწინებული წესის დარღვევა, პირველ შემთხვევაში გამოიწვევს მეწარმის გაფრთხილებას, იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა 1.000 ლარით განისაზღვრა. ამ წესით დადგენილი პირობების ყოველი მომდევნო დარღვევისას, მეწარმე სუბიექტი 5.000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

ლარით სავალდებულო ფასდადების მოთხოვნა მეწარმე სუბიექტებს შეეხება. ამასთან, მზადდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების პროექტი იმ საგამონაკლისო შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, მეწარმის მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვა, შესაძლებელი იქნება უცხოურ ვალუტაში. **ბიპიენი**

რა ანაზღაურებას იღებენ „საქართველოს ბანკის“ მთავარი ფიგურები

სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფმა“, რომელიც სს „საქართველოს ბანკის“ ჩვეულებრივი აქციებისა და, შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს ფლობს, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტის წევრების ანაზღაურების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

როგორც „ბიჯეო ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მოადგილის ავთანდილ ნამიჩეიშვილის 28 ივნისის განცხადებაში ვკითხულობთ, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წლიური ანაზღაურება (გადასახადების დაქვითვამდე) შემდეგნაირად განისაზღვრება:

ნილ ჯანინი – 210.313 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი; დევიდ მორისონი – 97.820 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი; სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენი წევრები (გარდა ირაკლი გილაურისა) კი 73,365 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი.

„ბიჯეო ჯგუფის“ გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის ანაზღაურება კი, განცხადების თანახმად,

მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაგრძელდება.

რაც შეეხება კომიტეტების წევრებს, 1 ივლისიდან მათი წლიური ანაზღაურება (გადასახადების დაქვითვამდე) ასეთი იქნება:

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის 17.520 ამერიკული დოლარის ოდენობით; აუდიტის კომიტეტის წევრის 12.848 დოლარი; ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარის ანაზღაურებად განისაზღვრა 12.848 ამერიკული დოლარი; ამავე კომიტეტის წევრის კი - 8.760 ამერიკული დოლარი; 17.333 ამერიკული დოლარი იქნება რისკის კომიტეტის თავმჯდომარის ანაზღაურება, ხოლო ამავე კომიტეტის წევრის – 8.760 დოლარი. **ბიპიენი**

2008 წლამდე დაწყებული და დაუსრულებელი მშენებლობები დღგ-სგან 2019 წლის 31 დეკემბრამდე გათავისუფლდა



2008 წლამდე დაწყებული და დაუსრულებელი მშენებლობების დღგ-სგან გათავისუფლების საკანონმდებლო ნორმა, რომელიც 2015 წლიდან მოქმედებს, 2019 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა.

ამის შესახებ ფინანსთა სამინისტრო იუწყება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილის განცხადებით, ცვლილებამ ხელი უნდა შეუწყოს ვადაგადაცილებული მშენებლობების დასრულებას და ამ გზით დაზარალებული მობინადრეების დიდი ნაწილის დაკმაყოფილებას.

საგადასახადო შეღავათის ამოქმედებიდან დღემდე 25 ობიექტის მშენებლობა განახლდა. მათი ჯამური საინვესტიციო ღირებულება 65 მლნ აშშ დოლარს აღემატება და დასრულება 2017 წლის ბოლომდე იგეგმება.

საგადასახადო შეღავათის მოქმედების ვადის გაგრძელებით, დამატებით 37 ობიექტის მშენებლობა დასრულდება, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება 100 მლნ აშშ დოლარს აღემატება.

გურიაში საერთაშორისო აეროპორტი აშენდება

საქართველოში კიდევ ერთი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა იგეგმება.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, გურიაში, სოფელ მერიაში არსებულ აეროდრომის ბაზაზე იგეგმება ახალი, საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა.

გურიის გუბერნატორი გია საღუქვაძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში წლების განმავლობაში იდგა, თუმცა, ამ ეტაპზე იქ არც მშენებლობა მიმდინარეობს და 230 ჰექტარი ტერიტორია დღემდე ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. გურიის გუბერნატორის ინფორმაციით, აღნიშნული ტერიტორია დღემდე სწორედ ამ მიზნისთვის შენარჩუნდა.

– პირდაპირ გეტყვით, პრემიერ-მინისტრის, ეკონომიკის სამინისტროს და ზოგადად, მთავრობის, ასევე ჩემი სურვილით, ეს ტერიტორია ასე დაუნაწევრებლად ამ მიზნით შენარჩუნდა.

– საუბრები ამაზე სულ არის. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაა, რომ ყველა რეგიონს განვითარება უნდა მიეცეს, აეროდრომი და სატვირთო გადაზიდვები პრიორიტეტია. თუ გამოჩნდება ინვესტორი, რომელიც თანხას ჩადებს, კარგი იქნება, – აცხადებს საღუქვაძე.

„კომერსანტმა“ ინფორმაციის გადამოწმება საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაშიც ცადა, თუმცა უწყებიდან ამ დრომდე კონტაქტზე არავინ გამოსულა. ეკონომიკის სამინისტროში კი მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ ამ დროისთვის ხელისუფლება აეროდრომების შესწავლას ახორციელებს.

დღეს საქართველოში 3 საერთაშორისო აეროპორტი ფუნქციონირებს. მათ შორისაა, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები.

საბჭოთა პერიოდში მერიის ტერიტორიაზე აშენდა სამხედრო აეროდრომი და მოეწყო შესაბამისი დასახლება. თავის დროზე აეროდრომიდან

არც იმას დავმალავ, რომ ამ თემაზე საუბრები იყო. თუმცა, რაიმე ხელშესახები შედეგი ამ დრომდე არ გვაქვს. არის უნიკალური ტერიტორია, ზღვიდანაც შეიძლება დაფრენა, კლიმატურადაც კარგია, სტრატეგიული ადგილია. რამდენიმე კილომეტრშია ფოთიდანაც, ბათუმიდანაც, „ბლექსი არენადანაც“. ამ ტერიტორიის ზუსტად ამ მიზნისთვის გამოყენება იდეური იქნება, – აცხადებს საღუქვაძე.

სოფელ მერიაში აეროდრომი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან არსებობს და მისი ფართობი 230 ჰექტარს შეადგენს.

შესრულდა პირველი რეისი ოზურგეთი-მოსკოვი. ამჟამად აეროდრომის ტერიტორიაზე განთავსებულია მუნიციპალური ნაგავსაყრელი.

სოფელ მერიაში აეროპორტის მშენებლობას 2017 წლის აპრილში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოეხმაურა.

„არ დაგვცალდა, თორემ გურიაში, სოფელ მერიაშიც ვაპირებდით ორჯერ დიდი აეროპორტის აშენებას და მისი ავტობანით დაკავშირებას ბათუმთან, ფოთთან და ლაზიკასთან,“ – წერდა სააკაშვილი. **კომერსანტი**

სუნელების მწარმოებელი კომპანია „ოჯახური“ „ფურშეტისგან“ ფულს ვერ იღებს

სუნელების მწარმოებელი კომპანია „ოჯახური“ „ფურშეტისგან“ ფულს ვერ იღებს.

ამის შესახებ „საქმის კურსს“ თავად კომპანიის ხელმძღვანელის მოადგილე ლერი კიპაროიძემ განუცხადა.

მისი თქმით, მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სხვადასხვა ქსელიდან ფულის ამოღებაა, რამდენადაც მაღაზიები იხურებიან, კომპანია კი თანხას კარგავს.

ლერი კიპაროიძის თქმით, „ფურშეტს“ მათ მიმართ ათიათასობით ლარის დავალიანება აქვს, თუმცა, ქსელი ბანკროტზეა და თანხის ამოღებას ვერ ახერხებენ.

სუნელების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ლერი კიპაროიძის თქმით, თანხის ამოღება იურიდიულადაც ვერ ხერხდება, სასამართლოში კი პროცესები წლობით ჭიანურდება.

ბიზნესკონტრაქტი

შემოდგომიდან ქართული ჩაის ერთჯერადი ჯოხები გამოჩნდება

შემოდგომიდან ბაზარზე ქართული ჩაის ერთჯერადი ჯოხები გამოჩნდება. პროექტი მაღალი ხარისხის, ნატურალური ქართული ჩაის წარმოებას, ინოვაციური შეფუთვის ტექნოლოგიით გულისხმობს. ე.წ. ჩაის ჯოხები სპეციალური ლამინირებული ფოლგის კონუსური ფორმის „ჯოხია“, რომლის ნახვრეტებიც საშუალებას იძლევა, კარგად იმოძრაოს ცხელმა წყალმა და მაღალი ხარისხის ჩაი დაყენდეს.

პროექტი საპარტნიორო ფონდმა „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში 100 ათასი ლარით დააფინანსა. როგორც პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ნინო გორგოშაძე „საქმის კურსთან“ აცხადებს, ფონდიდან მიღებული დაფინანსება თითქმის სრულად ჩაის წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიური ხაზის შეძენას მოხმარდა.

მისი თქმით, შემოდგომიდან ქსელურ მარკეტებში, ასევე რესტორნებსა და ბარებში მათ მიერ წარმოებული, 6 სახეობის ჩაის ე.წ. ჯოხები გამოჩნდება. საწარმო ოზურგეთში იფუნქციონირებს, სადაც პირველ ეტაპზე 5 ადამიანი დასაქმდება.

პროექტის ავტორის თქმით, ე.წ. ჩაის ჯოხების 20-ცალიანი შეფუთვის ღირებულება დაახლოებით 6 ლარი, ხოლო ცალობით სარეალიზაციო ფასი 50 თეთრი იქნება.

პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 112 ათასი ლარია, საიდანაც „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება 100 ათას ლარს შეადგენს.

ბიზნესკონტრაქტი

გერმანიიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია მოხდება

გერმანიიდან უცხოელების დეპორტაცია გახშირებულია. გერმანული საიტის ინფორმაციით, დიუსელდორფის აეროპორტიდან ხელისუფლება დაიწყებს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეების მასობრივ დეპორტაციას.

პოლიციის განმარტებით, დიუსელდორფიდან დეპორტირებულთა რაოდენობის ზრდა დაკავშირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე ოპერატიულად უარის თქმასთან და მიგრანტებთან მიმართებით მკაცრ დამოკიდებულებასთან.

– ყველა უნდა იყოს მზად, რომ დეპორტირებულთა რიცხვი მუდმივად გაიზრდება. ეს მიგრაციული კრიზისის მეორე მხარეა, – განაცხადა გერმანიის შს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელმა ბურხარდ შნეიდერმა.

დიუსელდორფის აეროპორტიდან მანამდე, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების დეპორტაცია ხდებოდა. თუმცა, მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ასევე, დაიწყეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეების დეპორტირება.

დალია ჰონი, რომელიც აეროპორტში დეპორტაციის პროცესს აკვირდება, აცხადებს, რომ ის ვერ ახერხებს დიუსელდორფის აეროპორტიდან ყველა დეპორტირებულის მეთვალყურეობას. მისი თქმით, პრობლემები წარმოიქმნება მაშინაც, როცა გერმანიიდან ავადმყოფებს აძევებენ, ან ოჯახის წევრებს განაცალკევებენ.

28 მარტიდან 18 მაისის ჩათვლით, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს ყველაზე მეტი – 73 მოქალაქე – გერმანიიდან იქნა დეპორტირებული.

პირველი

„ჯორჯიან მანგანეზმა“ სახელმწიფოს სააპელაციო სასამართლოში საგადასახადო დავა მოუგო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე საგადასახადო დავა სახელმწიფოს წინააღმდეგ კერძო პირის გამარჯვებით დასრულდა.

საქმე ეხებოდა შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2015 წელს ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგად 200 მილიონამდე თანხის დარიცხვის კანონიერების საკითხს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, საგადასახადო ორგანოს მხრიდან შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საგადასახადო დავალიანების განსაზღვრა განხორციელდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. არსებითად დაირღვა მატერიალური კანონმდებლობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო კერძო კომპანიაზე თანხის დარიცხვის საფუძვლები და საგადასახადო ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

„ჯორჯიან მანგანეზი“ წარმოადგენს ამერიკული კომპანია ,,ჯორჯიან ემერიქენ ელოიზის“ მიერ დაფუძნებულ საზოგადოებას, რომელიც საქართველოში სამ უმსხვილეს საწარმოს – „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას“, „ჭიათურმანგანუმსა“ და „ვარციხე ჰესების კასკადს“ ფლობს.

51 წლის ირანელს 5 არასრულწლოვანი ბიჭის გაუპატიურების მცდელობისთვის ასამართლებენ

პროკურატურა: „ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდება“

ირანის მოქალაქეს, რომელსაც არასრულწლოვანთან გარყვნილი ქმედების მცდელობის ბრალდებით ასამართლებენ, საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდება.

ინფორმაცია „ნიუპოსტს“ მთავარ პროკურატურაში დაუდასტურეს.

შოთაძის უწყებამ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარი ოფიციალურად განაცხადა.

ახალციხის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის ჰ. ფ. ქ. – ს მიმართ, რომელსაც ბრალი ედება საქ. სსკ-ის 18-140-ე მუხლით (ხუთი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში.

ბრალდებულმა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას განცხადებით მომართა და ითხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმება მისი ბრალდების საქმეზე, რაც გახლავთ ბრალდებულის უფლება.

– საქართველოს მთავარი პროკურატურა ცალსახად აცხადებს, რომ ბრალდებულს საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდება, ვინაიდან მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს პროკურატურას მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა აქვს, – აღნიშნავენ მთავარ პროკურატურაში.

51 წლის ირანის მოქალაქეს 5 არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობისთვის ასამართლებენ.

როგორც ირკვევა, შუახნის მამაკაცი ქართველმა სამართალდამცავებმა ახალციხეში მაშინ დააკავეს, როცა ამ უკანასკნელმა „მსხვერპლს“ პარკში დაუთქვა პაემანი.

საქმის მასალების მიხედვით, საბრალდებო სკამზე მჯდომი პირი 5 არასრულწლოვან ბიჭთან მოტყუებით ცდილობდა სექსუალური კავშირის დამყარებას.

შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი, მორფინი და კოდეინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ს.ვ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 11,5954 გრამი ჰეროინი, 0,0354 გრამი მორფინი და 0,0115 გრამი კოდეინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, დაკავებულს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით).

ყანის დახვნისთვის რამაზ ჩხიკვაძეს 2 წელი ციხე ემუქრება

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე გიორგი ზვიადაძე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის მცხოვრებლის, 38 წლის ტრაქტორისტის, რამაზ ჩხიკვაძის საქმის განხილვა დაიწყო.

ჩხიკვაძეს კანონის დარღვევას ედავებიან და პროკურატურა მისთვის ორწლიან პატიმრობის შეფარდებას ითხოვს.

ტრაქტორისტი წელს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, საკუთარი ტრაქტორით საკუთარი ყანის დახვნის მცდელობისას, შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

დაკავების ოპერაციას, ჩხიკვაძის მეზობლების თქმით, ადგილობრივი პოლიციის უფროსი ხელმძღვანელობდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ჩხიკვაძე დაკავებულია და ბრალი წაყენებული აქვს სსკ 381 მუხლით, რაც გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობას.

– ჩხიკვაძე გასამართლებული იყო 260 მუხლით, მას დაუდგინდა ნარკოტიკული თრობა, რის გამოც 5 წლის განმავლობაში აეკრძალა სატრანსპორტო საშუალებების მართვა, თუმცა პოლიციამ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავა, როცა ის ტრაქტორს მართავდა, – გვითხრა შსს პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

ნიუპოსტი

ლევან მურუსიძე უვადო მოსამართლეობაზე უარს ამბობს

ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივანმა, ლევან მურუსიძემ, სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლეობის მოთხოვნის მიზნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავად უნდა მიმართოს.

ლევან მურუსიძეს უფლება აქვს, უვადო მოსამართლეობა მოითხოვოს. მურუსიძე ახალი ნორმების ამოქმედებამდე დაინიშნა მეორე გამოსაცდელი ვადით. საბჭოს ყოფილი მდივანი არ გამორიცხავს, რომ ამ რეგულაციით არ ისარგებლოს და უვადო მოსამართლეობაზე უარი თქვას.

– არ ვაპირებ რა, სიმართლე გითხრათ, ახლა შვებულებაში ვარ მე და არ მიფიქრია მაგ თემაზე. ზოგადად, წარმოდგენაც არ მაქვს. მე არასდროს ისეთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, რაც ემსახურებოდა საკუთარი კეთილდღეობის თემას, ყოველთვის ჩემი თითოეული ნაბიჯი იყო, რაც წაადგებოდა სასამართლო სისტემას და მე ჩემს თავს, ასე იქნება თუ ისე იქნება, აუცილებლად მივხედავ, – აცხადებს ლევან მურუსიძე.

ქუთაისში ჟურნალისტ ბუბა ჩივაძეს თავს დაესხნენ

30 ივნისს, გვიან ღამით, ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში საინფორმაციო ანალიტიკურ პორტალ „ქუთაისი თუდეის“ დამფუძნებელ ბუბა ჩივაძეს თავს დაესხნენ.

ჟურნალისტის თქმით, ის საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა, როდესაც უცნობი პირი ავტომანქანით აედევნა და ერთ-ერთ შუქნიშანზე თავს დაესხა. ჩივაძე ამბობს, რომ თავდამსხმელმა მას საქარე მინა ჩაუტეხა და ფიზიკურად გაუსწორდა.

მისივე თქმით, თავდამსხმელს ნიღაბი არ ეკეთა, თუმცა მან ის ვერ ამოიცნო. უცნობია, თავდასხმა უკავშირდება თუ არა ჩივაძის ჟურნალისტურ საქმიანობას.

შსს-ში მომხდართან დაკავშირებით ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

ხონში ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

ხონში ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო.

როგორ „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით 3 წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე.

ორთაჭალაში ავარიის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა

ორთაჭალაში სამარშრუტო ტაქსი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახნენ. დაშავებულია 4 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

კვარიათში ავტომობილი ზღვაში გადავარდა

კვარიათში მსუბუქი ავტომობილი, რომელშიც 5 ადამიანი იმყოფებოდა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ზღვაში გადავარდა.

სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ხუთივე პირის ზღვიდან ამოყვანა შეძლეს ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს.

რუსთავში მამაკაცი მე-9 სართულიდან გადმოვარდა

რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან 56 წლის კაცი გადმოვარდა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ევროპა ჰელმუტ კოლს გამოეთხოვა

შპაიერის კათედრალურ ტაძარში ჰელმუტ კოლის პანაშვიდი ჩატარდა. მას 1.500 ადამიანი დაესწრო. მათ შორის ბორის ელცინის ქვრივი ნაინაც იმყოფებოდა. მიხეილ გორბაჩოვმა ავადმყოფობის გამო დაკრძალვაზე ჩასვლა ვერ შეძლო.

კოლის ანდერძის თანახმად, ის შპაიერის ტაძარში დაკრძალეს, იქ, სადაც რომის საღვთო იმპერიის მმართველები განისვენებენ.

კოლს რომის საღვთო იმპერია ევროპის ერთიანობის სიმბოლოდ მიაჩნდა.

უკრაინა რუსეთს კიბერშეტევებში ადანაშაულებს

უკრაინის უშიშროების სამსახური რუსეთს კიბერშეტევების ორგანიზებას სდებს ბრალად. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსები მიზნად ისახავდნენ უკრაინის დესტაბილიზაციას.

– გარეგნულად ყოველივე ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჰაკერებს მხოლოდ ფულის შოვნა სურდათ. ეს არ არის სწორი. ჰაკერების უკან დგას რუსეთის ფსბ, რომელიც უკრაინის დესტაბილიზაციისთვის იღვწის, – ნათქვამია უკრაინის უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

პეტერბურგში თურქეთის ორი მოქალაქე დააკავეს

პეტერბურგში თურქეთის ორი მოქალაქე, ეშფერი და ად ბაბი დააკავეს. ისინი რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ. სახელმწიფო ინსპექციამ ხსენებული ორგანიზაციის საქმიანობაში დარღვევები აღმოაჩინა.

თურქეთის მოქალაქეებს ბრალს სდებენ იმაში, რომ სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლებს ქრთამი შესთავაზეს.

ორივე თურქი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთში ავარიას 13 ადამიანი ემსხვერპლა

რუსეთში, თათრეთის რესპუბლიკაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 13 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 12 კი დაშავდა.

ერთმანეთს ბენზინმზიდი და სამგზავრო ავტობუსი შეეჯახნენ. შეჯახების შედეგად ავტობუსი ამობრუნდა და მთლიანად დაიწვა. დაღუპულთაგან 2 არასრულწლოვანია. დაშავებულთაგან სამის მდგომარეობა კრიტიკულია.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ბენზინმზიდს ავტობუსის 56 წლის მძღოლი დაეჯახა და მომხდარში სწორედ მისი ბრალეულობა იკვეთება. ავტობუსის მძღოლი შემთხვევას გადაურჩა და მას სამართალდამცველები დაკითხავენ.

შემთხვევის ადგილზე თათრეთის პრემიერ-მინისტრი ალექსეი პესოშინიც მივიდა.

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პატიმრობიდან გაათავისუფლეს



ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

71 წლის პოლიტიკოსი სასჯელს თელ-ავივთან ახლოს მდებარე რამლეს საპატიმროში იხდიდა.

ეჰუდ ოლმერტი კორუფციის ბრალდებით იყო დაკავებული და ციხეში 16 თვე გაატარა. ოლმერტი 2014 წელს უძრავი ქონების კომპანიებისგან ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. იმ პერიოდში ის იერუსალიმის მერი იყო. ის ისრაელის პრემიერ- მინისტრის თანამდებობას 2006-2009 წლებში იკავებდა და ცენტრისტთა პოლიტიკური პარტიის ლიდერი იყო.

ეჰუდ ოლმერტს სასამართლომ პატიმრობა 27 თვით მიუსაჯა, თუმცა 16 თვეში გაათავისუფლა.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ყვავმა ვანკუვერის ფოსტის მუშაობა ორი თვით შეაფერხა

ვანკუვერში კანადის ფოსტის განყოფილებამ ქალაქის აღმოსავლეთის რაიონებში წერილებისა და ამანათების მიწოდება ფოსტალიონზე ყვავის თავდასხმის გამო შეწყვიტა. ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქში განათავსა შონ ბერგმანმა, რომელიც ფრინველს უვლის და სოციალურ ქსელში მისი გვერდი აქვს გახსნილი.

მამაკაცის თქმით, ინციდენტის შედეგად, რომელიც ორი თვის წინ მოხდა, ფოსტის თანამშრომელმა მრავალი მცირე ნაიარევი მიიღო.

– მან (ყვავმა) ფოსტალიონთან ჩხუბი გამართა და ის დააშავა. როდესაც ამის შესახებ შევიტყვე, თავი საშინლად ვიგრძენი, თუმცა ამავე დროს მესმოდა, რომ მისი ასეთი ქცევა ბუდობის სეზონს უკავშირდებოდა, – დაწერა სოციალურ ქსელში ბერგმანმა, – ის საკუთარ ბუდეს იცავს, ეს უბრალოდ ინსტინქტია.

მისი თქმით, ის მუქარის წერილებს იღებს, ფრინველს, სახელად კენაკს, მოკვლით ემუქრებიან. მამაკაცი ცდილობდა, პრობლემის მოგვარების გზები გამოეძებნა და ფოსტის მუშაობის აღდგენისთვისაც ხელი შეეწყო. ის კანადის ფოსტის წარმომადგენლობას დაუკავშირდა და მისი თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარებას დაჰპირდა. ამის მიუხედავად, ქალაქის ამ რაიონში ფოსტის მუშაობა დღემდე არ აღდგენილა.

აღსანიშნავია, რომ ბერგმანს სურდა ფოსტალიონისთვის პატარა მსუბუქი ქოლგა მიეცა, რომელიც მას ფრინველთან დაპირისპირებაში ერთგვარი ფარის მოვალეობას გაუწევდა.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

სახალხო მკურნალი ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲣᲠᲘᲓᲘᲐ: საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲐᲠᲮᲔᲚᲘ: მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.

ᲢᲔᲚ.: 230 62 52; 599 16 10 82

ეჭვიანმა შოტლანდიელმა მოსწავლემ მეტოქეს ალტის ფუტლარში მჟავა ჩაუსხა

შოტლანდიის ისტ-ლოტიანის ოლქში მდებარე სასწავლებლის მოსწავლემ გოგირდმჟავა ალტის ფუტლარში ჩაუსხა გოგონას, რომელიც მის ყოფილ ბოიფრენდს ხვდება. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

ინციდენტი 2016 წლის 29 სექტემბერს მოხდა, თუმცა მას მედიაში ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. 17 წლის გოგონამ, რომლის ვინაობა არ სახელდება, მჟავა მუსიკალური ინსტრუმენტის ფუტლარში ჩაასხა და ამით სურდა, რომ მეტოქე, რომელიც ალტზე უკრავდა, დაემახინჯებინა. როდესაც მისმა მსხვერპლმა ფუტლარი გახსნა, მჟავა ფეხებზე გადაესხა და დამწვრობა მიიღო.

მიღებული ტრავმის გამო გოგონა იძულებული გახდა მეცადინეობა დაეტოვებინა და ასევე მანქანის ტარების გაკვეთილიც გამოეტოვებინა. ამჟამად დაზარალებული არა მარტო დაზიანებული ადგილების ლაზერული თერაპიის კურსს გადის, არამედ ფსიქოლოგიური ტრავმის მკურნალობის კურსიც უტარდება. ედინბურგის შერიფის სასამართლოს ინფორმაციით, ორივე მოსწავლე სასწავლებლის ორკესტრის წევრი იყო. რა სასჯელი ელის დანაშაულის ჩამდენ გოგონას, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

გოგა ბითაძე – ქართული კალათბურთის მომავალი

ბოლო დროს ქართულ კალათბურთს კიდევ ერთი იმედი გამოუჩნდა – გოგა ბითაძე. 17 წლის ჭაბუკი უკვე საქართველოს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაშია გამოძახებული. ბითაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდულ ევროლიგაზე, სადაც სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს.

ბითაძე ნბა-ს „ადიდასის“ კემპზე იმყოფებოდა, სადაც უფროსი ასაკის კალათბურთელებთან კონკურენციაში ცდილობდა სკაუტებისთვის თავის მოწონებას. ასეთ ასაკში უფროსებთან თამაში იოლი არ არის, თუმცა, როგორც სპეციალისტები წერენ, ბითაძემ თავი არ შეირცხვინა.

დანახვისთანავე მიხვდებით, რატომ ითვლება გოგა ბითაძე მსოფლიოს მასშტაბით საყურადღებო ტალანტად. 211 სმ სიმაღლისა და 113 კილოგრამის კალათბურთელი შთამბეჭდავი სანახავია ხელებგაშლილი. კემპზე ტესტი მაღალი დონის კალათბურთელებთან გაიარა. მართალია, უფროსებს ფიზიკურად და გამოცდილებით ჩამორჩებოდა, რიგ ეპიზოდებში ბრაზდებოდა კიდეც, მაგრამ მას საკმარისი დრო აქვს ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად, დაცვაში კიდევ უფრო მოსამატებლად და შეტევაში ისედაც მრავალფეროვანი იარაღის კიდევ უფრო დასახვეწად.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ამერიკელმა ჟურნალისტებმა ჩაწერეს.

გოგა ბითაძე:

– ადიდასის კემპი კარგი საშუალებაა ჩვენო შესაძლებლობები. ბიჭები მოტივირებულები ვიყავით. საინტერესო თამაშები და ვარჯიშები გამოვიდა.

– კემპზე ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი იყავი.

– 2-3 წლით უფროსებთან მიწევდა თამაში. შესანიშნავი იყო. გამოვცადე საკუთარი თავი, მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ეს უმაღლეს დონეზე თამაშისას აუცილებლად გამომადგება.

– უკეთ გაგვაცანი შენი თავი.

– საქართველოდან ვარ. კალათბურთის თამაში 6 წლის ასაკში დავიწყე. თავიდან სკოლის გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ კლუბში გადავედი და იქ განვაგრძე თამაში. სხვათა შორის, მამაჩემიც პროფესიონალი კალათბურთელი იყო, თუმცა კარიერა ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა.

– 3-ქულიანები შენი თამაშის ახალი მონაკვეთია?

– ჩემი მწვრთნელები საქართველოში ც პერიმეტრიდან მათამაშებდნენ, მავარჯიშებდნენ სამქულიან ტყორცნებში. ასე რომ, ეს კომპონენტი ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის. თუმცა კიდევ მეტს ვმუშაობ და მინდა, უფრო გავუმჯობესდე.

– თამაშისას ყველაზე მეტად რით შეგიძლია გუნდის დახმარება?

– სათამაშო კომპონენტების გარდა, არაერთი ნიუანსია. ყოველთვის ვცდილობ, თანაგუნდელები გავამხნევო, მივუთითო, როგორ დავდგეთ სწორად დაცვაში, როგორ მოვიქცეთ შეტევაში. ვცდილობ, გუნდს დავეხმარო, რამდენადაც შემიძლია.

– ახლო მომავლის გეგმები როგორია?

– სერბულ მეგა ლეკსთან ერთად ადრიატიკის ლიგაზე სათამაშოდ ვემზადები. წინასწარ ვიცი, რომ რთული იქნება პროფესიონალ კალათბურთელებთან თამაში. ისინი ხომ ჩემზე უფროსები და ღონიერები იქნებიან. თუმცა ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ არაფერში ჩამოვრჩე და თანაგუნდელებს გამარჯვებაში დავეხმარო.

– ყველაზე მეტად რომელი კომპონენტის გაუმჯობესება გჭირდება?

– ფიზიკური კონდიციების. ბევრი მაქვს სამუშაო. ასევე სისწრაფეც მოსამატებელი მაქვს. დაცვასა და შეტევაში მეტი გამოცდილება და აგრესია მჭირდება. ამასთან, აუცილებელია სროლაზე ბევრი ვარჯიში.

– რომელი კალათბურთელების ყურება გიყვარს?

– ბევრია მოთამაშე, რომელთა თამაშის ხილვა სიამოვნებას მანიჭებს. დავასახელებდი ნიკოლა იოკიჩს, რომელიც ჩვენი გუნდიდან წავიდა ამერიკაში. მომწონს ყურება, როგორ მსუბუქად, თავისუფლად თამაშობს. ასევე ძალიან საინტერესოა საქართველოს ნაკრების კაპიტნის ზაზა ფაჩულიას თამაშის ხილვა. ის ნამდვილი მეომარია, მოედანზე ყველაფერს დებს. კალათბურთი მხოლოდ ქულები არ არის, მას ბევრი სასარგებლო საქმის შესრულება შეუძლია და შემთხვევითობა სულაც არ არის, რომ გოლდენ სტეიტშია.

– კალათბურთი მუდმივად ვითარდება. როგორ წარმოგიდგენია მომავალი?

– თანამედროვე კალათბურთში ტანმაღალი კალათბურთელებიც პერიმეტრიდან თამაშობენ. მათ ისევე უნდა შეეძლოთ შორიდან ტყორცნა, როგორც ფარქვეშიდან. საამისოდ მეც მზად ვარ. გუნდი გაცილებით ძლიერია, როცა ხუთივე კალათბურთელს ეხერხება ფარქვეშაც და პერიმეტრზეც შედეგიანი თამაში. მომწონს ასეთი სტილის კალათბურთი.

– წინახაზელებს ევროპასა და ამერიკაში დაცვაში თამაში სხვადასხვა სტილში უწევთ.

– ევროპაში, მაგალითად, ადრიატიკის ლიგაზე მეფარეს ყველა ეხმარება, აზღვევს. ამერიკაში, ძირითადად, ერთი-ერთზე თამაშია. ეს გაცილებით რთულია, რადგან რამდენად ძლიერი მეტოქეც უნდა გყავდეს, შენ უნდა გაუმკლავდე, საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული. განსაკუთრებული ფიზიკური მომზადებაა საჭირო.

– გიყვარს პიკ-ენდ-როლის წინააღმდეგ დაცვაში თამაში?

– თუ საჭიროა, უნდა გააკეთო. მწვრთნელის მითითებას უნდა მიჰყვე. მაგალითად, ამერიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პიკ-ენდ-როლისას ტანმაღალი კალათბურთელი მეტოქის უკანახაზელზე გადადის. საკმარისი მოხერხებულობა და სისწრაფეც უნდა გქონდეს, რომ უმაღლესი დონის გამთამაშებლებს გაუმკლავდე.

– მეგა ლეკსზე რის თქმა შეგიძლია?

– ძალიან კარგი გუნდია. ახალგაზრდული. საშუალო ასაკი 19-20 წელია. მხოლოდ მოგებებზე არავინ ფიქრობს, მნიშვნელოვანია კალათბურთელების სწორი მუშაობა და პროგრესი. დიდებული მწვრთნელები გვყავს, ყოველდღიურად გვეხმარებიან ოსტატობის დახვეწაში. ჩემი კარიერისთვის ძალიან სასარგებლოა ასეთ გუნდში ვარჯიში და თამაში.

მატიას ზამერი: „ბაიერნის სატრანსფერო პოლიტიკა მომწონს“

მიუნხენის ბაიერნის ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა მატიას ზამერმა კლუბის პრეზიდენტი ული ჰაინესი მიმდინარე სატრანსფერო პოლიტიკის მიდგომის გამო შეაქო. ჰაინესმა, აღნიშნა, რომ კლუბი აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს და ცდილობს, მომავლისათვის კონკურენტუნარიანი გუნდი შექმნას.

მატიას ზამერი:

– ვთვლი, რომ ჰაინესის მიდგომა საქმისადმი შექების ღირსია. ძალიან მოხარული ვარ, რომ მან ასე ნათლად ახსნა სიტუაცია. ეს ლოგიკური შედეგია იმ სატრანსფერო გარიგებების, რომლებიც აქამდე განხორციელდა. ვფიქრობ, რომ ეს შესანიშნავი გზაა. მაგრამ, სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე ღიაა და გამორიცხული არაა კიდევ რაიმე გაკეთდეს. მე ძალიან კარგად ვიცნობ კლუბს და ვიცი, რომ ამაზე პასუხისმგებელი პირები აქტიურები იქნებიან, მაგრამ არაფრის დიდებით სხვისი ზეგავლენის ქვეშ არ მოექცევიან.

– ბავარიული კლუბის ხარისხზე რას ფიქრობთ?

– ვფიქრობ, ბაიერნის თამაშები რეალთან და წინა სეზონში ატლეტიკოსთან არ იყო ხარისხის საკითხი. ვარიაციები თამაშში სიურპრიზი აღმოჩნდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეხბურთელებმა თავის თავს უნდა ჰკითხონ თუ ასე როგორ მოხდა. ასევე

გერმანიის თასის ნახევარფინალში დორტმუნდთან, სადაც მშვენიერი პირველი ნახევარი ჩაატარეს.

– გასულ სეზონში ბევრს აკრიტიკებდნენ თომას მიულერს.

– მიულერი შესანიშნავი პიროვნებაა და უდიდეს როლს ვუსურვებ კლუბში. ძალიან მნიშვნელოვანია გაერკვე იმაში, თუ ვინ არის მიულერი და რა შეუძლია მას. მას კარგად ვიცნობ, როგორც ექსტრაორდინარულ ფეხბურთელს. ვიმედოვნებ, რომ ის ლიდერის როლს მოირგებს. მწვრთნელმა კი უნდა გადაწყვიტოს თუ რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი თამაში თუ სტრუქტურა გუნდში. გაოცებული დავრჩი, როდესაც თომასი სპორტული თვალსაზრისით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

გუნდი დატოვა ორმა მსოფლიო კლასის ფეხბურთელმა – ფილიპ ლამმა და ხაბი ალონსომ.

– გეთანხმებით... ორივე საკვანძო ფეხბურთელი იყო, მაგრამ გუნდში არიან თომას მიულერი, მანუელ ნოიერი, ბოატენგი, ალაბა და ჰუმელსი. ჯოშუა კიმიხი პროფესიულ ზრდას განაგრძობს და ის მალე ბაიერნის წამყვანი ფეხბურთელი გახდება.

– რას ფიქრობთ ახალწვეულებზე?

– ნიკლას ზულე ნამდვილი მანქანაა – საოცარი სისწრაფით. ის ზეწოლას მოახდენს დაცვით ფეხბურთელებზე. სებასტიან რუდის თამაშს სიამოვნებით ვუყურებ, რადგან მეტად მშვიდად თამაშობს.

– არ გიხსენებიათ კორენტინ ტოლისო.

– მას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ როგორც მითხრეს, საინტერესო ფეხბურთელია, რომელიც დიდი მისწრაფებით ერთვება შეტევაში, ემოციების კონტროლითა და მანევრირებით. მასთან მიმართებით ბაიერნი მეტად ჭკვიანურად მოიქცა, ვიდრე სხვა კლუბები.

დარჩება თუ არა ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გამოცემამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანს დიდი გული აქვს და აღნიშნავს, რომ თბილისში საკუთარი საკალათბურთო აკადემია შექმნა, სადაც ბავშვებისთვის უფასო კემპებს მასპინძლობს.

მათივე თქმით, გოლდენ სტეიტს არ აქვს საკმარისი თანხა იმისთვის, რომ ვარსკვლავი ცენტრი შეიძინოს, სწორედ ამიტომ, დიდი ალბათობით, ზაზა ფაჩულია მომავალ სეზონში კვლავ გოლდენ სტეიტ უორიორსის ღირსებას დაიცავს.

ალბათობა იმისა, რომ ფაჩულია მომდევნო სეზონშიც გოლდენ სტეიტში ითამაშებს, დიდია. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ ქართველი მოთამაშისგან კიდევ უფრო ხარისხიან თამაშს ვიხილავთ. ფაჩულია ნაკლებად ითვლება ფრენჩაიზის ქვაკუთხედად, მაგრამ „მეომრებს“ ძალიან გაუჭირდებათ ამ ზაფხულს მასზე უკეთესი ცენტრის აყვანა.

ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტში გასულ წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. 1 ივლისიდან კი ქართველი კალათბურთელი კვლავ თავისუფალი აგენტია.

დონარუმა – ჭრელი პეპელა

ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი მილანის თინეიჯერ მეკარე ჯანლუიჯი დონარუმაზე. ახალგაზრდა ჯიჯის კარიერას მადრიდის რეალს უკავშირებენ, თუმცა თავად კლუბი მის გაშვებას არ აპირებს.

ამის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ იტალიის ნაკრების ყოფილ მეკარეებს.

მაგალითად, ფრანჩესკო ტოლდოს განცხადებით, ჯიჯი დონარუმაზე ძალიან დიდი ზეწოლაა და, მისი აზრით, მან კლუბი უნდა დატოვოს.

– ვფიქრობ, 18 წლის ფეხბურთელზე ამხელა ზეწოლა არ შეიძლება და ეს ყველაფერი არცერთ მხარეს არ მოუტანს სარგებლობას. მილანელებმა უნდა გაითავისონ, რომ ფეხბურთელის პოზიციას მნიშვნელობა აქვს. თუ დონარუმა მილანში დარჩა და მოტივაცია დაკარგა, გაცილებით უარესი შედეგები დადგება. ჯანლუიჯიმ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. მე რომ დონარუმას ადგილზე ვიყო, რეალში გადავიდოდი. ეს ჩემი სუბიექტური აზრია.

საპირისპირო აზრი აქვს ლეგენდარულ დინო ძოფის:

– ვფიქრობ, რომ ჯიჯი კარგად უნდა დაფიქრდეს, ვინაიდან სასწორზე ძალიან ბევრი რამ დევს. ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მან კარიერის განვითარებასა და დახვეწაზე უნდა იფიქროს, მისთვის უმთავრესი ამ ეტაპზე არა გუნდი, არამედ საუკეთესო ფორმა უნდა იყოს. ჯანლუიჯი რეალში გადასვლას ყოველთვის მოასწრებს, მთავარია, ფორმა შეინარჩუნოს. მე მაინც ვთვლი, რომ მისთვის მადრიდში თამაში ადრეა და მილანში უნდა დარჩეს, რადგან იტალიას კარგად იცნობს და საკუთარ ქვეყანაში განვითარების გაცილებით მეტი შანსი აქვს.

2 ასეთ ლეგენდარულ მეკარეს რომ სხვადასხვა აზრი აქვს, რა უნდა ქნას 18 წლის ფეხბურთელმა? მოკლედ, დონარუმას ჭრელი პეპლის ვარიანტი აქვს – გადადი-არ გადახვიდე.

მანჩესტერს თავდამსხმელებს ეპილეგბიან

სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა და, ცხადია, ჯერ ყველაზე მეტად ინგლისური კლუბები აქტიურობენ. ყველაზე დიდი მოთხოვნა ალექსის სანჩესზეა, რომლის მომავალი გაურკვეველია. თუმცა, ფეხბურთელი აცხადებს, რომ პირიქით – გარკვეულია.

დიდი ალბათობით, ჩილელი არსენალს დატოვებს. მის მიმართ ინტერესს ისეთი გუნდები იჩენენ როგორებიც არიან მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, მანჩესტერ სიტი და ბაიერნი.

უცნობია, დარჩება სანჩესი არსენალში თუ გადავა ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებიდან ერთ-ერთში. მაგრამ, როგორც გითხარით, ჩილელს საკუთარი მომავალი გადაწყვეტილი აქვს.

– ვითამაშებდი თუ არა ბრავოსთან ერთად სიტიში? კარგი კითხვაა. თუმცა, ახლა მხოლოდ კონფედერაციის თასზე ვარ ორიენტირებული. ტურნირის დასრულების შემდეგ ვნახოთ, დავრჩები არსენალში თუ წავალ სხვა გუნდში, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი მაქვს.

ინგლისური კლუბების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა ალექსანდრ ლაკაზეტიც. არგენტინელ ფეხბურთელზე პრეტენზიას იუნაიტედი და არსენალი აცხადებენ. ბოლოდროინდელი ინფორმაციით, მთავარი ფავორიტი ლონდონური კლუბია.

არსენალი მზად არის, ლაკაზეტის სანაცვლოდ ლიონს 45 მილიონი ევრო და ბონუსები შესთავაზოს, ლიონი კი, თავის მხრივ, ამ თანხაზე თანახმაა.

ლაკაზეტის გადასვლა მადრიდის ატლეტიკოშიც იგეგმებოდა, თუმცა მადრიდელს ხელს სატრანსფერო ბანი უშლის. სწორედ ამიტომ მადრიდთან ტრანსფერი ჩაიშალა.

სამაგიეროდ, იუნაიტედის სამიზნე გახდა რომელო ლუკაკუ. თუმცა, მანჩესტერელებს შეიძლება აქაც შეემთხვათ პრობლემა – გავრცელდა ხმები ბელგიელის ჩელსიში გადასვლის თაობაზე.

მოკლედ, მანჩესტერელებმა თვალი ვისაც დაადგეს, ყველა ფეხბურთელი სხვა კლუბში აღმოჩნდა.

საქართველოს ბ ნაკრებმა ჩინელი არმიელები მეორედაც დაამარცხა

საქართველოს კალათბურთელთა ბ ნაკრებმა ჩინეთში მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა. დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი გუნდი ჩინეთის კლუბ ბაი როკეტს შეხვდა. ეს გახლავთ ჩინეთის არმიის გუნდი, რომელშიც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების 3 კალათბურთელი თამაშობს.



საქართველომ რაკეტები ამჯერად 84:77 დაამარცხა. პირველი პერიოდი ქართველებმა 24:13 მოიგეს, მეორე კი 17:21 დათმეს. უსტიაშვილის გუნდმა მესამე მეოთხედი 27:23 მოიგო დ მოპოვებული უპირატესობა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა.

საქართველოს ნაკრების გამარჯვებაში ლომის წილი 26 ქულითა და 8 მოხსნით ილია ლონდარიძეს მიუძღვის. 17 ქულა მიითვალა აკაკი ლომოურმა, ხოლო აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე 10 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. ჩვენი გუნდის შეტევების მთავარი ორგანიზატორი გახლდათ ლაშა გამყრელიძე, რომელსაც საბოლოოდ 10 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

საქართველოს ბ ნაკრები მომდევნო მატჩს ჩინეთის ბ ნაკრებთან გამართავს.

შედეგები

1 ივლისი

ფეხბურთი

მვეღეთი. აღსვენსკა

მალმიო-ესკილსტუნა	3:2
სუნდსვალდი-სირიუსი	1:2
ჰალმშტადი-ელფსბორგი	1:1

ნოხვეგია. ეღიტსეჩია

ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი	2:0
სონგდალი-ალესუნდი	1:0

ფინეთი. ვეიკაუსღიგა

ილვესი-კუუპი	1:0
ჯჯკ-ლახტი	1:3

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

როგორ ავიცილოთ მწერის ნაკბენი

ეკა ირემაშვილი

ზაფხული მოვიდა და გააქტიურდნენ მწერები, რომლებიც ხშირად კბენენ ადამიანებს.

როგორ ავიცილოთ მწერის ნაკბენი და როგორია პირველადი დახმარება? – ამ თემებზე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს პედიატრი, მედიცინის დოქტორი ნანი ყავლაშვილი საუბრობს

ნანი ყავლაშვილი:

– ზაფხული ყოველთვის ასოცირდება მზესთან, წყალთან, ზღვასთან, დასვენებასთან, თუმცა არსებობს გარკვეული საფრთხეები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვებს ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა არ შეექმნათ.

პირველი პრობლემა არის მწერის ნაკბენები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ზაფხულის პერიოდში.

ყველაზე ხშირი და პრობლემური ნაკბენებს შორის არის ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენი, რომელმაც შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული გართულება გამოიწვიოს. შეიძლება იყოს ორი სახის გამოვლინება – ადგილობრივი რეაქცია, ნაკბენის გარშემო შეწითლება, შეშუპება, ქავილი, შეიძლება გამოხატული იყოს ტკივილი.

თუ ეს არის ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენი, პირველი დახმარებაა იმ ნესტრის ამოღება, რომელიც კანში ჩარჩება. ეს უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად დანის წვერის გადასმით, ნაკბენის ადგილი უნდა გავასუფთავოთ წყლით, შეიძლება საპნით ჩამოვბანოთ, შეშუპებისა და ტკივილის შესამცირებლად შეიძლება ცივი კომპრესი ან ჰიპერტონული ხსნარის საფენიც გამოვიყენოთ. ჰიპერტონული შესაძლებელია აფთიაქში ვიყიდოთ, შეიძლება ჩვენ თვითონ დავამზადოთ მარილისა და წყლის საშუალებით: დაახლოებით 2 ჩაის კოვზი მარილი რომ ჩავყაროთ 1 ჩაის ჭიქა წყალში გვექნება ჰიპერტონული ხსნარი. ეს საფენი მუდმივად უნდა ედოს ბავშვს ნაკბენის გარშემო, თუკი არის შეშუპება და შეწითლება გამოხატული.

ზოგიერთ ბავშვთან თუ შეშუპება საკმაოდ დიდ მანძილზეა, ასეთ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ალერგიის საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალებები – მალამოები. მდგომარეობა რომ არ გართულდეს, შეიძლება ანტიჰისტამინური საშუალების დასალევად გამოყენებაც.

თუმცა ეს არის როცა გვაქვს ადგილობრივი რეაქცია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენზე განვითარდეს ზოგადი ალერგიული რეაქცია და ეს უკვე საშიში მდგომარეობაა. ამ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს სახის, მთელი სხეულის შეშუპება. შეშუპების პარალელურად შეიძლება იყოს სუნთქვის გაძნელება, ხმაურიანი სუნთქვა, ჭინჭრის ნასუსხის მსგავსი გამონაყარი, წნევის დაქვეითება და ძალიან იშვიათად ძლიერი ალერგიული რეაქციის შემთხვევაში შეიძლება სიკვდილითაც კი დამთავრდეს. ამიტომ, თუ ბავშვს ერთხელ მაინც ჰქონია ასეთი რეაქცია მწერის ნაკბენზე, აუცილებლად მაქსიმალურად უნდა მოვარიდოთ ისეთ ადგილებს, სადაც შეიძლება განმეორებითი ნაკბენი განვითარდეს და ყოველთვის მშობელს თან უნდა ჰქონდეს პირველადი დახმარების საშუალებები.

ნანი ყავლაშვილი

– რა არის ასეთ დროს პირველადი დახმარება?

– თუ ბავშვს ნაკბენზე ადრე ჰქონია ასეთი ძლიერი ალერგიული რეაქცია, აუცილებელია მაშინვე დავალევინოთ ანტიჰისტამინური საშუალება და აუცილებლად მივმართოთ გადაუდებელი დახმარების განყოფილებას, სადაც შესაბამისი დახმარების აღმოჩენა მოხდება. ბინაზე ასეთი პაციენტის მართვა არ არის რეკომენდებული, იმიტომ რომ შეიძლება შეშუპებამ მოიმატოს, სუნთქვის პრობლემა შეიქმნას და ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას.

– რას იტყვით კოღოს ნაკბენზე?

– ეს პრობლემა ძალიან ბევრ ბავშვს აწუხებს. თითქოს გასაკვირია, რატომ უნდა შეგვეშინდეს კოღოს ნაკბენის, თუმცა ზოგიერთ ბავშვში, თუ ამ ბავშვს ალერგიისადმი წინასწარგანწყობა ახასიათებს, შეიძლება კოღოს ნაკბენზეც განვითარდეს ზუსტად ისეთივე მოვლენები. შეიძლება იყოს შეშუპება, კანის გაწითლება, გამაგრება. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რა უნდა გავაკეთოთ. დაახლოებით იმავეს ვაკეთებთ, რასაც ფუტკრისა და ბზიკის ნაკბენის დროს, უბრალოდ, ამ შემთხვევაში ნესტრის ამოღება არ არის საჭირო, იმიტომ რომ კოღოს ნესტარი არ აქვს. შეიძლება ცივი საფენი გამოვიყენოთ, ყინული წავუსვათ ადგილობრივად ან ქავილისა და ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებები. თუ შეშუპება დიდ ფართობზეა გამოხატული, ამ შემთხვევაშიც შეიძლება ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება.

უნდა ვიცოდეთ, რომ კოღოები არიან გარკვეული დაავადებების გადამტანები. ეს არის ლეიშმანიოზი. არსებობს სხვადასხვა დაავადება, რომელიც საქართველოში ნაკლებად გვხვდება, ამიტომ ძირითადი პრობლემა არის ლეიშმანიოზი, რომელიც კოღოს საშუალებით ძალიან ადვილად ხვდება ადამიანის ორგანიზმში. ეს დაავადება იწვევს ცხელებას, კანზე გამონაყარს, გახანგრძლივებული ცხელება არის ხოლმე სისხლში გარკვეული ცვლილებებით.

– ზაფხულში ხშირია კოღოს ნაკბენი.

– ამისთვის სულ რამდენიმე მარტივი რჩევა შეგვიძლია მოგაწოდოთ. შებინდებისას ბავშვები არ უნდა გავიყვანოთ გარეთ. ამ დროს ყველაზე მეტი კოღოა გარემოში და მეტი შანსია, რომ კოღომ ბავშვი დაკბინოს. მზის ჩასვლამდე 40 წუთით ადრე ბავშვი უნდა მოვარიდოთ გარეთ გაყვანას. როცა გარეთ გაგვყავს, უნდა ვეცადოთ, ეცვას გრძელსახელოებიანი ზედა და გრძელი შარვალი, რომ კანი ნაკლებად ჩანდეს. ამით ნაკლები შანსი ექნება კოღოს, რომ ბავშვი დაკბინოს. უნდა მოვარიდოთ ბავშვი წყალსატევებთან ახლოს დიდხანს გაჩერებას, ვინაიდან წყალთან უფრო მეტი კოღოა. სახლში გამოვიყენოთ მწერებისგან დამცავი ბადეები და სხვადასხვა ქიმიური თუ ბუნებრივი საშუალება კოღოების დასაფრთხობად. აფთიაქში ამ საშუალებების საკმაოდ დიდი არჩევანია, უბრალოდ, უნდა შევარჩიოთ საბავშვო საშუალება, რომელიც არის სითხის, ლოსიონის სახით, შეიძლება ქაფის კონსისტენციის იყოს, რომელიც ბავშვის კანზე დაიტანება. მას აქვს სპეციფიკური სუნი, რომელიც აფრთხობს კოღოს. ბუნებრივი საშუალებებიდან კი შეიძლება გამოვიყენოთ დარიჩინის, ევკალიპტის, რეჰანის, ჩაის ხის ან კედრის ზეთი, რომლებიც აფრთხობს კოღოებს. ასევე არსებობს სპეციალური აპარატები, რომლებიც შეგვიძლია დენის წყაროში შევაერთოთ. ისინი უშვებს ულტრაბგერას და ისეთ ნივთიერებას, რომელიც კოღოს აფრთხობს. ასეთ დროს მაქსიმალურად დაცული გვეყოლება ბავშვი კოღოს ნაკბენისგან.

– რამდენად საშიშია ტკიპის ნაკბენი?

– ამ მწერის ნაკბენითაც საკმაოდ ხშირად გვაკითხავენ. მინდორში ან ცხოველებთან თამაშის შემდგომ შესაძლებელია ბავშვთან აღმოვაჩინოთ ტკიპა. იმისთვის, რომ ტკიპის ნაკბენი ავიცილოთ თავიდან, ბავშვს უნდა ჩავაცვათ გრძელსახელოიანი ტანსაცმელი, გრძელი შარვალი, უნდა მოხდეს ცხოველთა სადგომის სისტემატური დეზინფექცია, იმისთვის, რომ ტკიპა არ გაუჩნდეთ მათ და ცხოველთან ურთიერთობის დროს მომვლელები უნდა იყენებდნენ სპეციალურ დამცავ ტანსაცმელს, შემდეგ კი უნდა მოხდეს მისი დამუშავება მწერების საწინააღმდეგო პრეპარატით. მინდორში თამაშის შემდეგ ბავშვის კანი აუცილებლად კარგად დაათვალიერეთ, რომ ვნახოთ, ხომ არ არის ტკიპა. თუ ტკიპა აღმოჩნდა, ის თავისი სხეულის თავით არის ჩარჭობილი კანზე და ტანი ზემოთ აქვს, ხშირად ფეხებს ამოძრავებს კიდეც.

ტკიპის მოცილება ხდება პინცეტის საშუალებით. შეიძლება ეს ბინაზეც მოხდეს, თუმცა უმჯობესია, ექიმის მიერ მოხდეს მისი მოცილება, ვინაიდან უნდა ვიცოდეთ, სად უნდა მოვკიდოთ პინცეტი ტკიპას – არა ტანზე, არამედ ძალიან ახლოს კანთან, რომ თავის ნაწილს მოვეჭიდოთ პინცეტით. თუ მხოლოდ ტანზე მოვკიდებთ პინცეტს, ნაწილის ამოღება მოხდება, საცეცები კი რჩება კანში. ამან შემდგომ შეიძლება გამოიწვიოს კანის გაღიზიანება და ადგილობრივად დაჩირქებაც კი შეიძლება განვითარდეს.

ტკიპის მოცილების შემდგომ საჭიროა საპნიანი წყლით კანის დაბანა და სპირტით დამუშავება. ადრე ძალიან იყოს გავრცელებული ტკიპის მოსაცილებლად ასეთი მეთოდი: ბამბას ასველებდნენ ზეთოვან ნივთიერებაში და ადებდნენ იმ ადგილას, სადაც ტკიპა იყოს მოთავსებული. ამ დროს თავისთავად შეიძლება ტკიპა მოძვრეს, თუმცა ბოლო პერიოდში რეკომენდებულია პინცეტის საშუალებით მისი მოცილება, რადგან უფრო უსაფრთხოა.

ჯაჯნვოხდი



1. ეკალმუხა (საბა); 2. ბუვიეს რომანი; 3. „... დამაცადე!“; 4. ჯეი ...; 5. ქოჩრიანი თუთიყუში; 6. ... მერფი; 7. ხანა, ეპოქა; 8. პატარა ჩიტი; 9. ... პუგაჩოვა; 10. ცხენების ჯოგი; 11. მეგრული საალერსო სიტყვა; 12. პითონი; 13. მათემატიკური დებულება; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 16. დაწყებითი სკოლა (ძვ.); 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. „ოტელოს“ პერსონაჟი; 19. ბუნებრივი საღებავი; 20. მხარე დასავლეთ საქართველოში; 21. თვალების უნებური სწრაფი მოძრაობა; 22. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 23. ოიდიპოსის დედა და მეუღლე; 24. ერთგვარი ბალახი; 25. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 26. თარაშ ემხვარის ცხენი; 27. იუპიტერის თანამგზავრი; 28. ... სიბელიუსი; 29. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 30. მწკრივი; 31. ასო „რ“-ს სახელწოდება; 32. ტიბეტური ხარი; 33. ტაბლეტი; 34. მაიმუნის სახეობა; 35. მშვენიერი ელენეს ქმარი; 36. ... გიბსონი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლელო; 2. „აია“; 3. ჰამილტონი; 4. ბაქია; 5. ბანდიტი; 8. ბორი; 9. ბეთანია; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. ალილო; 15. უწერა.

თარაზულად: 1. ლამარია; 6. დაბახანა; 7. ლობიო; 10. „სეიკო“; 11. ფრაჟე; 13. „ასაჰი“; 14. კრუპი; 16. ნომი; 17. იპოთეკა; 18. „მწვანე“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. მოძახილი; 4. დროზერა; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. გეგელია; 14. უჯარმა; 15. „ნანა“; 17. ჯამნა; 18. „უშბა“.

თარაზულად: 6. მარეხი; 7. კოტირება; 8. ბეშუმი; 10. გენუა; 11. როინაშვილი; 13. „კულინანი“; 16. მესიჯი; 19. შპილმანი; 20. ჩანჩქერი.

კალეიდოსკოპი

ტაილანდის სოფელში პოლიცია მოჩვენების წინააღმდეგ გაიგზავნა

ტაილანდის პროვინცია ამნატჩარენში პოლიცია შეუდგა იმ სოფლის პატრულირებას, რომლის მცხოვრებლებიც ხორცის მჭამელმა მოჩვენებამ დააშინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

სამართალდამცავმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, ასეთი ღონისძიებისთვის მას შემდეგ მიემართათ, როდესაც სოფლის უხუცესებისგან მიიღეს წერილი.

– ადგილობრივები მართლაც შეშინებულები არიან, – განმარტა პატხუმ რატჩავონგსის ოლქის პოლიციის ხელმძღვანელმა ადულ ჩაიპრასიტიკულმა.

წერილში ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ სოფელს უკვე რამდენიმე თვეა ატერორებს ქალის სახის მქონე ბოროტი სული, რომელიც ადამიანებისა და ცხოველების სხეულში აღწევს და მათ შიგნეულს ჭამს. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ სწორედ მისი წყალობით მოკვდა ოთხი ძროხა და პოლიციის ოთხი თანამშრომელი დაავადდა.

– მოქალაქეების გასამხნევებლად, პანიკის თავიდან ასაცილებლად და მათთვის საკუთარი რწმენის განმტკიცებისთვის ვთხოვთ პატხუმ რატჩავონგსის ოლქის პოლიციას, მოახდინოს რაიონის პატრულირება მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, – ნათქვამია მოსახლეობის წარმომადგენლების მიმართვაში. **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ასტროპროგნოზი

3 ივლისისათვის

ვერძი – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **კურო** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **ტყუპები** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **კირჩხიბი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს თავს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **სასწორი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ღრიანკალი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **თხის რქა** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში საოჯახო საქმეების მოგვარება გაგთანგავთ. გამოფხიზლდით და სასურველს რეალობად ნუ მიიღებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

მაია ასათიანი: „რუსთავი 2-დან არ მივდივარ“

ბოლო დღეებია მასმედიაში ვრცელდება ინფორმაცია რუსთავი 2-დან პროდიუსერებისა და ჟურნალისტების წასვლის შესახებ.

ინტერნეტში უკვე გავრცელდა სიახლე, რომ ცნობილი პროდიუსერები გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე რუსთავი 2-ს ტოვებენ.

მათ რიცხვს შეემატა მაია ასათიანიც, რომელიც, ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემის ექსკლუზიური ინფორმაციით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ს ტოვებს და ტელეკომპანია „იმედში“ გადადის.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით მაია ასათიანის განცხადება გაავრცელა მისმა კოლეგამ, ჟურნალისტმა ნანუკა ჟორჟოლიანმა:

– ეს არის ტყუილი! იქნებ ჩემთანაც გადაამოწმოთ ხოლმე, სანამ „ექსკლუზივს“ გამოაცხობთ! დღეს მე რუსთავი 2-ზე ვმუშაობ!

რაიმონდ პაულსს მარგველაშვილმა ღირსების ორდენი მიანიჭა

ცნობილ ლატვიელ კომპოზიტორ რაიმონდ პაულსს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენი მიანიჭა.

ლატვიაში საქართველოს ელჩმა თეიმურაზ ჯანჯალიამ შეხვედრა გამართა ცნობილ ლატვიელ კომპოზიტორთან და პიანისტთან და გააცნო საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განკარგულება, რომელიც რაიმონდ პაულსისთვის ღირსების ორდენის მინიჭებას ითვალისწინებს.

შეხვედრას ესწრებოდა ლატვიის სახელმწიფო ორგანიზაცია „ლატვიას კონცერტის“ დირექტორი გუნტის კირსიც.

რაიმონდ პაულსმა გამოთქვა მზადყოფნა, ბიგ ბენდთან ერთად ეწვიოს საქართველოს 12-17 სექტემბრის პერიოდში, რომლის დროსაც თბილისში გაიმართება მისთვის საქართველოს პრეზიდენტის ღირსების ორდენის გადაცემის ცერემონია, ხოლო შემდგომ ბატონი პაულსი ეწვევა ბათუმს, სადაც განახლებულ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავს.

მაესტროს სურვილია, რომ კონცერტში მონაწილეობა მისმა ქართველმა მეგობრებმაც მიიღონ.

ნანა ჯორჯაძე ამერიკის კინოაკადემიის წევრი გახდა

რეჟისორ ზაზა ურუშაძის შემდეგ ნანა ჯანელიძე იქნება მეორე ქართველი რეჟისორი, რომელიც ამერიკის კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრი გახდა.

ამერიკული კინოაკადემია ახალ წევრებს ყოველ წელს იმატებს. წელს კინოაკადემიას 774 ახალი წევრი დაემატა. მათ შორისაა ქართველი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე. ნანა ჯორჯაძის ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ 1997 წელს ოსკარის ნომინაციაზე საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში იყო წარდგენილი.

ამერიკის კინოაკადემიამ წელს წევრთა რეკორდული რაოდენობა მიიღო. მათ შორის არიან როგორც რეჟისორები, ასევე მხატვრები, მუსიკოსები, კომპოზიტორები, პროდიუსერები.

ამერიკის კინოაკადემიის ახლანდელ პრეზიდენტ შერილ ბუნ აიზეკსს უფლებამოსილება ივლისში ეწურება, ახალი ლიდერის არჩევა კი სწორედ აკადემიის ახალ წევრებს მოუწევთ.

სამგლოვიარო განცხადებები



ინგა შელია ხსოვნას

ადრე თუ გვიან ყველა მოვკვდებით – ამ ფაქტისთვის მეტნაკლებად მზად ვართ. ვიცით, რომ სიკვდილს ვერ გავექცევით, მაგრამ რა ვქნათ, თუ ის ზედმეტად ადრე მოდის?! ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს ზედმეტად ადრე გვართმევს?! როგორ გავუმკლავდეთ ამ უბედურებას?!

2 თვეში 27 წელი უნდა შეგსრულებოდა, შენ კი კარი გაიხურე და წახვედი, თან წაიღე ჩვენი სულის ნაწილი, გულებში ამოუვსები სიცარიელე დაგვიტოვე. არ გვაცალე შენი ნარნარა ხმით, კაშკაშა თვალებით, შენთან ერთად ცხოვრებით ტკბობა.

უკვე მეცხრამეტედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ და ამ დღის სიხარულსა და ჟრიამულს ჩუმი ტირილი, დარდი და მონატრება შეცვლის.

ბევრჯერ უთქვამთ, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი მორჩებოდა, დრო განკურნავდა შენი წასვლით მოყენებულ ყველა ჭრილობას – ფუჭი სიტყვები ყოფილა. 19 წლის განმავლობაში არცერთი წუთით არ დაგვივიწყებიხარ, არცერთ დღეს არ ჩაუვლია შენი სახელის ხსენების გარეშე. ყოველდღე გული და გონება სხვადასხვა მოგონებას აცოცხლებს შენზე. დედა კიდევ ერთხელ ჩაისუნთქავს ჰაერს ღრმად, თითქოს ორივეს ნაცვლად სუნთქვასო, ისევ წამოსკდება ცრემლები, ინატრებს შენს აქ, მის გვერდით ყოფნასა და შენი ხმის გაგებას. შენც არ დააყოვნებ და კვლავ სიზმრებსა და მოგონებებში გამოგვეცხადები ჩვენი ოჯახის უცვლელ წევრად.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ილია ჭავჭავაძის იუბილე ზესტაფონში აღინიშნა



2017 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან – 180, ხოლო მკვლელობიდან 110 წელი სრულდება.

ამ თარიღებს მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით აღინიშნავს შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“, „ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდი“ და ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი.

მათი ტანდემით პროექტის „ილია ჭავჭავაძე 180 – უკვდავების ფენომენი“ ფარგლებში ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან – 180 და მკვლელობიდან 110 წელი საქართველოს მასშტაბით რეგიონების ჩართულობით აღინიშნება.

საიუბილეო წელთან დაკავშირებული ღონისძიება ილია ჭავჭავაძის თემაზე გამოფენითა და სპექტაკლით „საუკუნის მკვლელობა“ ზესტაფონში უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღინიშნა.

სცენაზე გაცოცხლებულმა ილიას ცხოვრებამ და მისმა სახემ ფერფლიდან აღმდგარი ფენიქსივით კიდევ ერთხელ დააფიქრა და ააღელვა ამჯერად ზესტაფონის მაყურებელი.

ღონისძიების საქველმოქმედო ეგიდიდან გამომდინარე, მასზე დასწრება თავისუფალია.

დარჩება თუ არა გელათი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში?



დარჩება თუ არა გელათი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, კრაკოვში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე გადაწყდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის განმარტებით, შესაბამისი დოკუმენტაცია საქართველოდან უკვე გადაგზავნილია და ქართულ მხარეს საკითხის დადებითად გადაწყვეტის მოლოდინი აქვს.

იუნესკო მიერ 2013 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, გელათის კომპლექსი, ბაგრატის ტაძართან ერთად, საფრთხის შემცველი ძეგლების ნუსხაშია შეტანილი. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ბაგრატის ტაძარზე ჩატარებული სამუშაოები გახდა. კომისიის დასკვნით, ბაგრატი ვეღარ აკმაყოფილებს იუნესკოს კრიტერიუმებს, რადგან იგი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ნანგრევის სახით იყო შეტანილი.

ბაგრატის საკითხის განხილვის შემდეგ დღის წესრიგში ავტომატურად დადგა გელათის კომპლექსის საკითხიც, რადგან გელათი და ბაგრატი, როგორც ერთი პერიოდის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ერთი ნომინაციით 1994 წლიდან იყო შეტანილი.

დარჩება თუ არა გელათი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, კრაკოვში იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიის დასრულების შემდეგ, 12 ივლისს გახდება ცნობილი.

ზემო მაჩხაანის ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო

ზემო მაჩხაანის ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო. ძეგლი მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო მაჩხაანში, გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე.

იგი დარბაზული ტიპისაა, ნაშენია რიყის ქვითა და ქართული აგურით. ეკლესია ორიგინალური სტილისაა, რაც გამოიხატება აღმოსავლეთიდან მიდგმულ სწორკუთხა შვერილ აფსიდაში ზედ დადგმული სამრეკლოს ფანჩატურით. ეკლესია გვიან შუა საუკუნეებისაა, იკვეთება რამდენიმე სამშენებლო ფენა, რაც გვიანდელი შეკეთებაა და რესტავრაციის კვალია.

სოფო ბედიამ ალექსანდრე ბასილაიას სიმღერა ახლებურად ჩაწერა

არაერთი საყვარელი სიმღერის ავტორის, კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას ერთ-ერთი ჰიტი „მერე“ მომღერალმა სოფო ბედიამ ახლებურად ჩაწერა.

სოფო ბედიამ სიმღერა დუეტში მომღერალ დავით ძიძიგურთან ერთად შეასრულა, მსმენელისთვის წარდგენამდე კი ახლებური ვერსია კომპოზიტორის მეუღლეს, მომღერალ ლუიზა კობალაძეს მოასმენინა. ლუიზა კობალაძემ ცრემლები ვერ შეიკავა და შესრულებული ვერსიით კმაყოფილი დარჩა. როგორც სოფო ბედიამ განაცხადა, მისთვის ალექსანდრე ბასილაიას მუსიკა ყველაფერია, რადგან მთელი ცხოვრება სწორედ მაესტროს სიმღერებს ისმენდა. დავით ძიძიგურის განცხადებით კი, მისთვის უდიდესი პატივია ისეთი კომპოზიტორის სიმღერასთან შეხება, როგორიც ალექსანდრე ბასილაიაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ავტობუსის დაჯახების შემდეგ ბრიტანელი წამოდგა და ლუდის დასალევად წავიდა

ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ რედინგში 53 წლის საიმონ სმიტს ავტობუსი დაეჯახა, მაგრამ ის იმ წამსვე ფეხზე წამოდგა და ისე, თითქოსდა არაფერი მომხდარიყო, ლუდის ბარში შევიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ვიდეოჩანაწერში, რომელიც სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ჩანს, რომ ქუჩაში მიმავალ მამაკაცს მართვა დაკარგული ავტობუსი დაეჯახა. დარტყმის შედეგად მამაკაცი ექვს მეტრზე გადავარდა. ამის მიუხედავად, ის მაშინვე ფეხზე წამოდგა და რამდენიმე წამში ლუდის ბარის „ალისფერი კუს“ კარს უკან გაუჩინარდა, სადაც ის ავტოსაგზაო შემთხვევამდე მიდიოდა.

მამაკაცმა უმნიშვნელო ნაკაწრები და დაჟეჟილობები მიიღო. სმიტის თქმით, მას გაუმართლა, რომ ცოცხალი გადარჩა. ინციდენტის მიზეზის თაობაზე არაფერია ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გააფთრებული ხარი კრიკეტის მოედანზე შეიჭრა

ბრიტანეთის ჩეშირის საგრაფოში მიმდინარე კრიკეტის მატჩის დროს, რომელშიც ერთმანეთს Kerridge და Mossley ხვდებოდნენ, მოედანზე გაფთრებული ხარი შეიჭრა, რაც მატჩის შეწყვეტის მიზეზი გახდა.

სპორტსმენებმა ცხოველი ჯერ კიდევ მანამდე შენიშნეს, სანამ ის მოედანამდე მიირბენდა, მაგრამ მანამდე არ მოუხდენიათ რეაგირება, სანამ ცხოველი Kerridge-ს გუნდის კაპიტანს ადამ ბენკს არ დაესხა თავს. მან გვერდით გახტომა მოასწრო. ცხოველი შეეცადა, მისტრიალებოდა, მაგრამ ფეხები აუცურდა. ამის შემდეგ ხარი სხვა მოთამაშესა და მსაჯს გამოეკიდა, თუმცა კვლავ უშედეგოდ და მეზობლად მდებარე მინდვრისკენ გაიქცა, სადაც ის დაიჭირეს და პატრონს დაუბრუნეს.

პროგრამა

ოთხშაბათი 3 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელიჩ **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 03.30** C-სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00, 04.30** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **18.30** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **00.00** მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**" (კ.კლაინი) **01.40** მხ/ფ "**ბოლო სახლი მარსხნივ**"

08.00 დოკ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **09.00** დოკ/ფ "კიდევ სცადე" **10.00** დოკ/ფ " ფოტო" **10.25** დოკ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტალ ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ინკების მარილი" **15.00** დოკ/ფ "კატასტროფა ანდებში" **17.00** დოკ/ფ "ზეთი სიმაყე" **18.00** დოკ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **19.50 ფეხბურთი - 19** წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. **გერმანია – ნიდერლანდები 23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია 3**" **00.30** მხ/ფ "**შეყვარებულები**" **02.25** მხ/ფ "**სამი ცხრილი**" **04.15** მხ/ფ "**აკოცე გოგონებს**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.03** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** X-ფაქტორი - ფინალი

08.00 ან/სერ. ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მოტივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შაპი სია**" **21.00** სერ. "**ბაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**პარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა**" **01.20** მხ/ფ "**პარი პოტერი და საიდუმლო ოთახი**" **04.20** მხ/ფ "**პარი პოტერი და აზაკაბანის ტყვე**"

08.00 დოკ/ფ "ცხოვრება ტრანსფორმაციაში" V ნაწ. **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** პანორამა **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.35** ახალი ამბები **11.30** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XVI ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.00** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.25** Hellow თბილისი **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.00** პრიორიტეტი **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**საბოტაჟი**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-სარწმუნოების გამო ცოდვათა მიტევების შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ობოლი სულიერვნე მაჩაბელი" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**უკვდავების თეთრი პარდი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ველური ბუნება"- წყლიდან გადარჩენილები" **15.55** სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" III, IV **17.30** კლასიკა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "წუღრუღაშენის მონასტერი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-მოწყალე ერისკაცის შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ილია ზდანევიჩი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ევერიის ეკლესია "ნიქოზის სამწყსო" **00.30** მოკ. მხ/ფ "**პარიღი**" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4036

ევრო — 2.7408

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1170

100 რუსული რუბლი — 4.0581

ამინდის პროგნოზი 3 ივლისისთვის

27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ივნისიდან

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

მოზარდებმა ძარცვა დედის ოქროს კბილებისთვის ჩაიდინეს

ამერიკის ფლორიდის შტატში მოზარდებს ბრალად ედებათ პორშე კაიმანისა და 200 ათასი დოლარის მოპარვა ნათესავებისთვის ოქროს კბილების, სამკაულებისა და მანქანის შესაძენად.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, რომ ამ საქმის გამოძიება ორი თვე მიმდინარეობდა. ამასთან ექვსივე ეჭვმიტანილი სხვა დანაშაულის გამო უკვე იმყოფებოდა პატიმრობაში.

სენტ-ლუისის ოლქის შერიფის ინფორმაციით, 27 აპრილს 14-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდებმა, რომლებიც ქალაქ ფორტ-ლოდერდეილის მცხოვრებლები არიან, გაიტაცეს ავტომობილი ჰიუნდაი სანტა ფე და კუნძულ ჩრდილოეთ ჰატჩინსონზე გაემგზავრნენ, რომელიც დაახლოებით ორი საათის სავალზე იმყოფება. იქ მათ გაძარცვეს ბრეტ ბრაუნინგის სახლი, საიდანაც გამოიტანეს სეიფი, რომელშიც 200 ათას დოლარზე მეტი თანხა ინახებოდა, ორი პისტოლეტი და ასევე გაიტაცეს 2014 წლის გამოშვება პორშე კაიმანი. მამაკაცმა, როდესაც სახლში დაბრუნდა და ნახა, რომ გაძარცვული იყო, პოლიცია გამოიძახა.

დამნაშავეების დადგენა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, როდესაც პორშე კაიმანი იპოვეს, მასში ერთ-ერთი მძარცველის საბუთები აღმოაჩინეს.

დაკითხვის დროს მოზარდებმა აღიარეს, რომ მოპარული ფული ნათესავებისთვის საჩუქრების შეძენაში დახარჯეს. ერთ-ერთმა მათგანმა დედისთვის ოქროს კბილების საფასური (11 ათასი დოლარი) გადაიხადა, ასევე უყიდა ოქროს ჯაჭვი (10 ათასი დოლარი), სამაჯური (3,5 ათასი დოლარი) და ავტომობილი დოჯი ჩელენჯერი (80 ათასი დოლარი), ხოლო ძმისთვის მერსედეს ც300 (25 ათასი დოლარი) შეიძინა. მისმა რამდენიმე თანამზრახველმა თავიანთ დედებს ასევე უყიდეს სხვადასხვა სამკაული და მანქანა. ერთ-ერთმა კი განაცხადა, რომ მას მისი წილი თანხა მოჰპარეს.

ამჟამად დამნაშავე მოზარდები სინტ-ლუისის ოლქის ციხეში იმყოფებიან.

დედა პანდამ თავისმომაბეზრებელი ბელი ფერდობზე დააგორა



ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ქალაქ ჩენდუს დიდი პანდების კვლევით ბაზაში, ფიცარნაგზე მოკალათებულმა დედა პანდამ ფიცარნაგიდან გადააგდო და ფერდობზე დააგორა ბელი, რომელმაც თავი მოაბეზრა და ბამბუკის ჭამას არ აცლიდა. ვიდეოზე გადაღებული ეს შემთხვევა იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

პანდა ბამბუკს ფიცარნაგზე მჯდომი შეექცეოდა. ბელმა, რომელიც უყურადღებოდ იყო დარჩენილი მას მოსვენება არ მისცა და თათებს ურტყამდა. მისგან თავმობეზრებულმა დიდმა პანდამ მას უბიძგა, ფიცარნაგიდან ბალახზე გადააგდო, ბელმა თავი ვერ შეიმაგრა და ფერდობზე დაგორდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თოკის რომელი ბოლო უნდა გადავუგდო პარლამენტარს, როდესაც წყალში იხრჩობა?

– ორივე.

•••

აუზში ცურვის დროს გოგონას საცურაო კოსტიუმი გასძვრა. იქვე დადგმულ დაფას სტაცა ხელი, წინ აიფარა და სასტუმროს ნომრისკენ გაიქცა. უცბად ხმამაღალი სიცილი მოესმა.

– ჩემზე იცინიან, – გაიფიქრა გაბრაზებულმა და ამ დროს სარკეში საკუთარი თავი დაინახა. შიშველ სხეულზე აფარებულ დაფაზე ეწერა:

„მხოლოდ დიდებისთვის, სიღრმე 2-დან 10 მეტრამდე“.

•••

„ვის უნდა მილიონი?“ სომხურ გადაცემაში მოთამაშეს დაუსვეს მორიგი შეკითხვა:

– ვინ თამაშობს თითქმის ჰენრიხ მხითარიანივით?

ვარიანტები:
1. რონალდუ
2. მესი
3. პელე
4. ნეიმარი.

•••

განცხადება სექს-შოპში:

„ჟურნალები ორივე ხელით გადაფურცლეთ!“

პატარა გიგის დედას ტყუპები შეეძინა და მამა შვილს ეუბნება:

– მასწავლებელს უთხარი, რომ ერთი კვირა სკოლაში ვერ ივლი და აუხსენი, რატომ.

სკოლიდან დაბრუნებულ გიგის მამა ეკითხება:

– აბა, რა ქენი, უთხარი მასწავლებელს?

– ვუთხარი და ბავშვის შეძენა მოგვილოცა.

– რა ბავშვი, რატომ არ უთხარი, რომ ტყუპები შეგვეძინა?

– მეორე მომავლისთვის შემოვინახე.

•••

ორი მეზობელი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სისულელეა, როდესაც ამბობენ, რომ პატარა ძაღლები უტვინოები არიან.

– რა მოხდა?

– დღეს დავინახე, როგორ ცდილობდა შენი ტერიერი, მანქანას ბორბლებქვეშ შევარდნოდა... ე.ი. ამ ცხოვრების რაღაც გაეგება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რეალურად ცხოვრება საშინელებაა და, კიდევ კარგი, ხელფასი მაინცაა სასაცილო...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

დარჩება თუ არა ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტში

ოკლენდურ მედიაში გამოქვეყნდა სტატია საქართველოს ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიაზე.

მედიამ გასულ სეზონში ფაჩულიას თამაში მიმოიხილა და მისი გოლდენ სტეიტში დარჩენის შანსებზე ისაუბრა.

– რამდენიმე დღის წინ გამოკითხვა ჩავატარე, გააკეთა თუ არა ზაზა ფაჩულიამ საკმარისი გოლდენ სტეიტისთვის და უნდა დარჩეს თუ არა ქართველი კალათბურთელი გუნდში. გასულ სეზონში ფაჩულია არც ისე პროდუქტიული იყო – საშუალოდ 6 ქულა და 6 მოხსნა. უნდა გავითვალისწინოთ ასევე ისიც, რომ ფაჩულია პარკეტზე 4 სუპერვარსკვლავთან ერთად გამოდიოდა და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მსროლელების გვერდით თამაშობდა.

გასულ წელს ფაჩულიაზე გვეწერა, თუ რა სარგებლის მოტანა შეეძლო გუნდისთვის. რაც გამოგვრჩა, არის მისი შესაძლებლობები ემუშავა გუნდთან ერთად. უმოკლეს დროში მან ძალიან კარგად შეძლო გუნდის ტემპზე მორგება, რაც ანდრე ბოგუტს არ შეეძლო და ვაღიაროთ, ბევრ ცენტრს ამის გაკეთება არ შეუძლია.

ფაჩულია არ არის ყველაზე ათლეტური ცენტრი, არც მოხერხებული, თუმცა მის თამაშს თუ მხოლოდ შედეგებით არ შეხედავთ, მის ნამდვილ ღირებულებას დაინახავთ. ამავდროულად, ის გასახდელში პოზიტიურ განწყობას ქმნის.

ფაჩულიას როლი ცენტრში ფიზიკური გაბარიტებით ადგილის მოპოვება და თავისუფალი თანაგუნდელების მოძებნა იყო. აგრეთვე კარგი იქნებოდა კალათბურთის სხვა უპირატესობების ენციკლოპედიური ცოდნაც.

სეზონის დასაწყისში ფაჩულია ხშირად მეტისმეტს ინდომებდა. შეცდომები მატულობდა, რაც მას იმედს უცრუებდა. სადღაც სეზონის შუაში ზაზა ინსტინქტებს მიენდო, ის იცავდა თავის თანაგუნდელებს და დროულად ნახულობდა მათ; თუკი ადრე თავს იკავებდა, ახლა ისიც ისროდა ხელსაყრელი პოზიციებიდან.

ასე დაასრულა ზაზამ სეზონი თამაშიდან 53,3% სიზუსტით, რაც მის კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელია. მუდამ დაუღალავი ფარზე, ფაჩულია საუკეთესო იყო გუნდში სხვის ფარზე მოპოვებული მოხსნებით (საშუალოდ 2,0 – სულ 140). მისი პლუს-მინუს კოეფიციენტი – 6,0, რაც საუკეთესო შედეგია ნბა-ს ცენტრებს შორის!

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვოიდი



თარაზულად: 6. ზღვის ხრტილოვანი თევზი; 7. მოღალატე, განდგომილი; 8. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე; 10. გერმანული ავტომობილი; 11. ქამა სოკო; 13. შრომის ფულადი გასამრჯელო; 16. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. ხელსაყრელ პირობათა ერთობლიობა; 20. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

შვეულად: 1. ურანის თანამგზავრი; 2. უქოჩრო თუთიყუში; 3. ამერიკული სამეჯლისო ცეკვა; 4. ძველბერძენი დრამატურგი (448-397 წწ.); 5. თვითმფრინავის კორპუსი; 9. ოფიცრის წოდება არმიაში; 12. იტალიური კოქტეილი; 14. ძე, რომელმაც დედა მოკლა (ბერძნული ეპოსი); 15. ნაოსნობისთვის სახიფათო წყალქვეშა კლდე; 17. აშშ-ის მუსიკალური პრემია; 18. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ